საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლ-ევური სიფცვაა, ფაფიოებით და ჭოჭებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი. 2016 წ. №176 (8068), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

8 ოქტომბერს ნაციონალური კოშმარი უნდა დამთავრდეს!

სანამ საარჩევნო უბანში ბიულეტენს ხელში აიღებდეს, კეთილსინდისიერ ამომრჩეველს მთელი თავისი საშინელი სიცხადით თვალწინ უნდა დაუდგეს ქვეყნის მავნებელ ნაციონალთა როგორც ბნელი წარსული, ისე, ახლა უკვე თვალთმაქცურად მოკატუნებულთა, ამჟამინდელი ამაზრზენი ანტისახელმწიფოებრივი რიტორიკა. როგორც მგლები არ შეიშვებიან ცხვრის ფარაში, ისე ამ მატყუარათა ადგილი ნამდვილად არ არის ხელისუფლებაში.

8 ოქტომბერს ესენი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდნენ!

მერაბ ბერძენიშვილი



მეუღლე კირა მიქელაძე, შვილობილი გოგი ჩეჩელაშვილი, შვილიშვილები ლევანი და ირაკლი, რძლები ნინო გორდელაძე, ეკა თარგამაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ისიდორეს-ძე ბერძენიშვილი

პანაშვიდი 21 სექტემბერს 16 საათიდან, მერაბ ბერძენიშვილის სახლ-მუზეუმში. მისამართი –კუს ტბის I შესახვევი 31.

გამოსვენება – ქაშუეთის ეკლესიიდან, 22 სექტემბერს 14 საათზე.

ძმა ელგუჯა, ძმისშვილი ზაზა ბერძენიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ისიდორეს-ძე ბერძენიშვილი

თბილისის საპატიო მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება „თანადგომა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უდიდესი ხელოვანი, ქართველი მიქელანჯელო, ქვეყნის დიდი პატრიოტი, თბილისის საპატიო მოქალაქე

მერაბ ბერძენიშვილი

დათა ახალაია: მეტი დაკავებული – მეტი პრემია!

4

ღია წერილი ზუგდიდის ინტელიგენციას

3

ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება!

ნიკას გვარამი!

ბევრი **რომ არ ვილაპარაკო, პირდაპირ ვიტყვი, რომ „რუსთავი-2“, მთელი თავისი გადაცემებით, არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერ-ბრიგადა, რომელიც არა ბეისბოლის ბიტებით, არა მუშტი-კრივით, არა ფიზიკური ანგარიშსწორებით, არამედ ყალბი ინფორმაციული შეტევებით ახდენს მოსახლეობის ტერორს.**

არ ვილაპარაკებ იმ ამაზრზენ სიმახინჯეზე, რომელიც ე.წ. „ვანოს შოუმ“ ქართული ოცნების საარჩევნო კლიპს დამართა, რომლითაც მოსახლეობას მიშას დაბრუნება „ახარა“ (ერთი ჯალალ-ედ-დინი დაბრუნდება და მეორე – მიშა, მაგრამ ამაზე სხვა დროს).

დემოკრატიული არჩევნებით ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არა აქვს. შესაბამისად, მხოლოდ პროვოკაციის შედეგად შექმნილი ქაოსი არის ის გარემო, რომელშიც მათ პოტენციური შანსი აქვთ იმისა, რომ რამე წარმატებას მიაღწიონ და ამ პროვოკაციებს ისინი ყოველდღიურად გვთავაზობენ, რითაც ნელ-ნელა უწევენ თამასას და მოსალოდნელია, რომ არჩევნების წინ საშინელი, მიშას სტილში გაკეთებული მოდელირებული სცენარები შემოგვთავაზონ.

დღეს ყურადღება მინდა გავამახვილო ორშაბათის „არჩევანზე“, რომელშიც გვარამიამ თავისი ზონდერ-ბრიგადის სრული ლუსტრაცია მოახდინა.

დავიწყებ იმით, რომ ამ გადაცემაში ინტერაქტივს ოცნება იგებდა და ამის გამო ტელეთხუნელებმა ტექნიკური შეფერხების მიზეზით საერთოდ მოხსნეს შედეგები (გახსოვთ ალბათ, ქუმსიშვილი რომ გათიშეს ეთერიდან, თურმე მაშინაც ხარვეზი ყოფილა).

ორი შეკითხვა წამოტივტივდა:

1. როცა ხელისუფლების წევრები „ტისკავენ“ თქვენს ზონდერებს, რაღა მაშინ, ფუჭდება მთელი „რუსთავი-2“?

2. 320 „ფორთოჩკას“ რომ რთავთ ეთერში ერთდროულად და რეგიონებიდან მომტირალ ხალხს გვაჩვენებთ, მაშინ რატომ არაფერი „გეჭედებათ“?

და მეორე ამბავი, რომელიც გუშინწინდელ საკმაოდ ფართო განხილვის საგანი გახდა:

გუშინ... 67 წლის წინათ

გერმანიაში 1949 წელი იდგა. დაჯიჯგნილი ქვეყანა დემოკრატიული არჩევნებისთვის ემზადებოდა.

ტელეკომპანია „ფოლკიშე ბეობახტერის“ გადაცემა „არჩევანში“ („Die Wahl“-ში), რომელიც მაგდა გებელსს მიჰყავდა, სტუმრად ოსვენცემის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ევა ბრაუნი იყო მიწვეული.

– იცოდით, თუ არა იმ ძალადობათა შესახებ, რასაც ნაცისტები ახორციელებდნენ? – ჰკითხა სპეციალურად მოწვეულმა ბბს-ის კორესპოდენტმა.

– ჯანდაცვის სამინისტროში შემთხვევით გავიგე და იმ დღესვე ადოლფს ვუთხარი – სასიამოვნო ბავარიული აქცენტით ჩაიღუღუნა ევამ და საყვარლად გაიღიმა.

– მერე ადოლფმა რა მოიმოქმედა? – არ ჩერდებოდა ჟურნალისტი.

ფრაუ გებელსმა კბილები გააკრაჭუნა და ფეხებიც დააბაკუნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შემდეგ იმ საიდუმლო კამერისკენ გაიხედა, რომელსაც მხოლოდ ყოფილი ობერგრუპენფიურერი, ერნსტ კალტენბრუნერი აკონტროლებდა და ნაზი მხრები მორცხვად აიწურა.

– თქვენ თქვენი მეუღლე ყოველთვის გიჯერებთ? – შეუბრუნა შეკითხვა ევამ და გაღიმება სცადა.

ამ დროს ტაბლოზე გამოტანილი ინტერაქტივის ციფრები, კატასტროფული სისწრაფით იცვლებოდა.

შესვენების დროს ოთარ დანელიას მიკროფონი ჩართული დატოვეს და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მინი-თათბირი ნიკა გვარამიამ ჩვეულ სტილში ჩაიწერა. მეორე დღეს კი ამ ფაქტს სოციალურ ქსელში სტატუსი „მიუძღვნა“:

1. ტელერეიტინგებს „რ-2“ არ ითვლის და შეგახსენებთ, რომ არც ნაცმოძრაობა იგებს სულ. და მანიპულაცია რო გვინდოდეს, კი არ მოვხსნიდით, რასაც გვინდა დავწერდით სამთავრობო ტვ „იმედივით“.

2. დანელიას რაც ათქმევინა „ოცნების“ პიარჯგუფმა, სირცხვილია და არასერიოზულ ჭრილში წარმოაჩინა საკუთარი კანდიდატი.

3. ჩართულ მიკროფონებთან ტელევიზიაში ნუ საუბრობთ, ძვირფასო პოლიტიკოსებო, თორემ თქვენ თავს დააბრალეთ...

4. კოკა ყანდიაშვილს ჭკუა მართლა არ მოეკითხება, ზოგადადაც გუშინდელი კი არა და გუშინწინდელი დღეა, მარა თქვენი არჩევანიც ეგაა და თქვენი ყბადაღებული პიარშიკიც...

გვარამიას ამ პოსტს კოკა ყანდიაშვილი გამოეხმაურა:

„ბავშვები ტირილს რომ იწყებენ, ისეთ ადამიანს ნუ დაემსგავსები...

1. „რუსთავი-2“-ის ინტერაქტივი მაყურებლით მანიპულირებაა. არა აქვს მნიშვნელობა „რუსთავი-2“ თავად ატარებს გამოკითხვას, თუ ამისთვის რომელიმე კომპანიას უხდის ფულს. ფაქტია, რომ ამ არხზე მაყურებლის ინტერესი იგნორირებულია. ეს „დამთვლელი მანქანა“ გუშინწინდელ გადაცემაში, სანდრას გამოჩენამდე, გამართულად მუშაობდა, ყოველთვის იგებდა ნაციონალური მოძრაობა და მხოლოდ გასულ ორშაბათს, 12 სექტემბერს წააგეს.

იხ. 4 გვ.

საქართველოს წარმატებული ისტორიების წარდგენა გაეროს ტრიბუნიდან

პრემიერის სიტყვით გამოსვლა გაეროში

საქართველოს მიდგომა მიზნად ისახავს ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების შექმნას ყველა დონეზე და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ეს სისტემა საქართველოში უკვე მუშაობს, – ელექტრონული მმართველობის, გამჭვირვალობისა და საჯარო მომსახურების მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეულ წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაეროში ისაუბრა.

მაღალი რანგის შეხვედრას, რომელიც გაეროში პირველად, საქართველოს ორგანიზებით გაიმართა, მხარი დაუჭირეს ესტონეთმა, სამხრეთ კორეამ, ბელგიამ და გაეროს განვითარების პროგრამამ. ღონისძიების მთავარი თემა იყო ეფექტიანი, პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე ინკლუზიური ინსტიტუტების განვითარება ელექტრონული მთავრობის და საჯარო სერვისის გზით.

პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა პროგრესი, რომელსაც საქართველომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების კუთხით მიაღწია.

„ჩვენმა მთავრობამ წამოიწყო მე-16 მიზნის განხორციელება, რომლის მიზანიცაა „ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნის“ პრიორიტეტიზაცია, რაც ჩვენი მხრიდან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებისკენ გამიზნული ძალისხმევის არსებითი ნაწილია. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ამ სფეროში ჩვენ დიდი პროგრესი გვაქვს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გაეროს განვითარების პროგრამას, რომლის მხარდაჭერა და დახმარებაც ფასდაუდებელია ჩვენი საქმიანობისთვის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მაქვს ჩვენი წარმატებული ისტორიების წარდგენის შესაძლებლობა. ჩემი აზრით, საქართველოს გამოცდილება სასარგებლო გაკვეთილი შეიძლება გახდეს სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც განვითარების გზაზე იმავე მიზნებისთვის იღვწიან“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ბიზნესსახლის პროექტს, რომელსაც საფუძველი ცოტა ხნის წინათ ჩაეყარა და რომელიც ბიზნესისთვის, 600-ზე მეტი სერვისის ერთ ფიზიკურ და ელექტრონულ სივრცეში მიწოდებას გულისხმობს.

„ჩვენს თავს დავუსვით კითხვები – რა როლის შესრულება შეუძლია ელექტრონულ მმართველობას საქართველოს ბიზნესსექტორისთვის? რამდენად მარტივად ხელმისაწვდომია ბიზნესმენებისთვის ჩვენი მომსახურება? რა სარგებელს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას „ბიზნესსექტორის“ საქმიანობის ხელშეწყობა? როგორ აისახება ეს ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე? ჩვენი პასუხების საფუძველზე კი დაიწყო ახალი პროექტი სახელწოდებით ბიზნესსახლი. ბიზნესსახლი არის რევოლუციური მოდელი, რომელიც ეფუძნება საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სამინისტროსა თუ სახელმწიფო სააგენტოს მიერ მომსახურების მიწოდებას ერთ სივრცეში და ერთიანი ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ამ პლატფორმის საშუალებით სახელმწიფო უზრუნველყოფს 600-ზე მეტი მომსახურების ტიპის მიწოდებას და თითოეული მათგანი ხელმისაწვდომია ერთიან ფიზიკურ და ელექტრონულ სივრცეში“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, პროგრესული და თანამედროვე მთავრობის მთავარი ბენეფიციარები უნდა იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები და ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლებსაც საფუძვლად დაედო იდეა, რომ ტექნოლოგიების მიზანი უნდა იყოს ბიუროკრატიის შემცირება და მოქალაქეთა ცხოვრების გამარტივება.

„დღეს ელექტრონული მმართველობის მეშვეობით ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ:

- **მოქალაქეები/ბიზნესები მთავრობას აწვდიან ინფორმაციას ერთჯერადად – მომხმარებლის შესახებ მთელი ინფორმაცია გაზიარებული იქნება ყველა სახელისუფლებლო ორგანოსთან, შიდა გზებით, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით;**
- **ყველა მომსახურება იმთავითვე შეიქმნება და მიწოდებული იქნება ციფრულ ფორმატში;**
- **სამთავრობო მომსახურების ყველა ტიპი ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთათვის ერთიანი ფრონტოფისის ფარგლებში, სადაც წარმოდგენილი იქნება 19 სამინისტრო და 50 სააგენტო;**
- **ყველა მომსახურება იქნება ხელმისაწვდომი ყველგან, ყველა რეგიონულ სამთავრობო ოფისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით“**, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა იმ სპეციალური ინიციატივების შესახებ, რომლებიც მთავრობამ, მდგრადი განვითარების მე-16 მიზნით გათვალისწინებული ინკლუზიურობისა და მოდერნიზაციის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებისთვის, საქართველოს ქალაქებისთვის, პატარა დასახლებებისა და სოფლებისთვის შეიმუშავა – ეს არის საზოგადოებრივი ცენტრები.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ დიდ ქალაქებში, ერთ სივრცეში მომსახურების სწრაფი, ეფექტიანი და კომფორტული მიწოდება უზრუნველყოფილია იუსტიციის სახლების მეშვეობით, სადაც მომხმარებლებს კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში სწრაფად და მარტივად მიეწოდებათ 300-ზე მეტი ტიპის მომსახურება, რაც ექსკლუზიურად მთავრობის კომპეტენციაა.

საქართველოს პატარა ქალაქებისა და სოფლებისთვის შექმნილი საზოგადოებრივი ცენტრები კი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის განვითარების პროცესში.

„საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობისთვის ადგილზევე ხელმისაწვდომი იქნება მომსახურების დიდი ნაწილი და ინფორმაცია – ისინი შორ მანძილზე, მუნიციპალურ ცენტრსა თუ დედაქალაქში მგზავრობის გარეშე შეძლებენ საჯარო მომსახურების 200-ზე მეტი ტიპით სარგებლობას. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ამით მოქალაქეებისთვის ბევრად უფრო იოლი იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად ჩართვა: საზოგადოებრივი ცენტრები თავს უყრის თანამედროვე ტექნოლოგიებს, საჯარო და კერძო სექტორების მომსახურებას, ბიბლიოთეკებს, უფასო ინტერნეტსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას, ასევე ერთ სივრცეში მოქალაქეთა ჩართულობის ადგილებს, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, რეაგირება მოვახდინოთ ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭირბოროტო საკითხებზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცენტრების პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მომსახურების გაუმჯობესება. ელექტრონული მმართველობის დანერგვის კომპონენტი გულისხმობს საქართველოს სოფლებიდან და ცენტრებიდან დაშორებული რაიონების სათანადო ჩართვას საჯარო მომსახურების ციფრულ რეჟიმში გადასვლის პროცესში, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას. მუნიციპალური მენეჯმენტის სისტემა მოიცავს ათ ყველაზე მოთხოვნად მომსახურებას, რომლებსაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლება. ამ სისტემის განხორციელების შედეგად გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხი. ასე რომ, საზოგადოებრივმა ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მთავრობასა და მოქალაქეებს შორის საინფორმაციო ნაკადის სისწრაფის გაუმჯობესებასა და მათ შორის ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბებაში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოში განხორციელებული წარმატებული ელექტრონული მმართველობის ორი მაგალითი დაასახელა – ელექტრონულად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და ელექტრონული სამთავრობო კომისია.

პრემიერის თქმით, ხელისუფლების სურვილია, საქართველოს მოქალაქეებს შეძლებისდაგვარად თავისუფალი წვდომა ჰქონდეთ საჯარო ინფორმაციაზე, რისთვისაც დაინერგა ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურება, ე.წ. მოქალაქეთა პორტალი.

„ის საშუალებას მისცემს ქვეყნის მოსახლეობას, მთავრობასთან ურთიერთობა აწარმოოს ელექტრონულად. დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის განაცხადით 60 საჯარო დაწესებულებას მიმართონ, ინფორმაცია მოიპოვონ განაცხადის სტატუსთან დაკავშირებით და ელექტრონულადვე მიიღონ პასუხი“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ელექტრონული მმართველობის კომისია კი, გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ხელს შეუწყობს ელექტრონული მმართველობის განვითარებას და კოორდინაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით; მოახდენს ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფას და ჩამოაყალიბებს მონაცემთა გაცვლის სისტემას საინფორმაციო რესურსზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ელექტრონული მმართველობისა და ეფექტიანი საჯარო მომსახურების უზრუნველყოფის გზით განხორციელებული ინოვაციები უფრო დააახლოებს მთავრობას, კერძო სექტორსა და მოქალაქეს, შედეგად, კი უკეთესი და მეტი ბერკეტი იარსებებს ეკონომიკის გაუმჯობესებლად.

„ეს არის ძირითადი გზავნილი, რომელიც დღეს გვსურს გავაჟღეროთ, რადგან სახელმწიფო განვითარების მიზნები არ არის იოლი. ეს განსაკუთრებით მე-16 მიზანს ეხება. თუმცა არც ერთი მათგანი არ არის შეუსრულებელი. ჩემი აზრით, მკაფიო გეგმის არსებობაა საჭირო. ეს უნდა იყოს ეროვნული კონცეფცია, რომელიც გამჭვირვალე სამთავრობო უწყებების მიერ იქნება შემუშავებული სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად. ეს გახლავთ საქართველოს მიერ შერჩეული მიდგომა, რაც მიზნად ისახავს ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების შექმნას ყველა დონეზე. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ეს სისტემა საქართველოში უკვე მუშაობს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმასაც დაუთმო.

„საქართველოს ეროვნული კონცეფცია იანვარში მიიღეს არსებული მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის შემდგომ მოდერნიზაციას. ძირითადი აქცენტი კეთდება ღია მმართველობისა და საჯარო მომსახურების მოდერნიზაციაზე ბიუროკრატიული ბარიერების შემცირების, ეფექტიანობის გაზრდის, მომატებული გამჭვირვალობის, საკანონმდებლო და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის გზით. ჩემ მიერ აქ წარმოდგენილი ყველა პროექტი ამ კონტექსტში ერთიანდება. მზად ვართ, გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება დაინტერესებულ მხარეებს, რადგან მჯერა, რომ ბევრ სარგებელს მივიღებთ დონორი სააგენტოებისა და ბენეფიციარი ქვეყნების გაერთიანებით. სამხრეთის მიმართულებით თანამშრომლობა ერთ-ერთი პლატფორმაა, რომელიც სრულად უნდა იქნეს ათვისებული. საქართველოს შეუძლია და უკვე ეხმარება კიდეც საკუთარი ექსპერტული ცოდნითა და საკადრო რესურსით სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებს. თავის დროზე, ელექტრონული მმართველობის განვითარების სფეროში, საქართველომაც ისარგებლა ესტონეთის დახმარებითა და მხარდაჭერით“, – აღნიშნა პრემიერმა.

ლევილი შუა ევროპიდან

საქართველო პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა, 23 სექტემბერს, თანმიმდევრული ნაბიჯების შედეგად, ევროპის შუაგულში, ლევილის მამულში იბრუნებს 5 ჰექტარ მიწას. ეს შეიძლება გადაიქცეს უფრო დიდი ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნების დიდ სულიერ საწინდარად.

საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მოვლენით ხდება ისტორიული ხაზის გამთლიანება და აღსრულდება ჩვენი საერთო წინაპრების ანდერძი, რომ მამული დაუბრუნდეს მის კანონიერ მემკვიდრეს საქართველოს. ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის პროცესი გრძელდება 25 წლის განმავლობაში და საამაყოა, რომ მთავრდება ჩვენი ხელისუფლების და პარიტეტული კომისიის პირობებში, რომლის თავმჯდომარე მე გახლავართ, ხოლო კომისიის წევრები არიან თეა წულუკიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პროცესში, ასევე გოჩა ჯავახიშვილი. პირადად მე უდიდეს სიმბოლურ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ საქმეს იმიტომ, რომ ევროპის შუაგულში, პარიზიდან 37 კილომეტრში 5 ჰექტარის დაბრუნება

ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება!

ღია წერილი ზუგდიდის ინტელიგენციას

ბატონებო და ქალბატონებო!

ამ რამდენიმე დღის წინათ „ივერიონის“ ვებგვერდზე ღია წერილით მივმართე ზუგდიდელ ამომრჩევლებს („ზაურ ნაჭყებია: ზუგდიდელებო, ჩასაფრებულ პროვოკატორებს ნუ ათქმევინებთ, რომ „მეგრელები ყველაფერზე მოაწერენ ხელს!“ http://iverioni.com.ge/16239-zaur-natcyebia-zugdidelebo-chasafrebul-provokatorebs-nu-vathqmevinebth-rom-megrelebi-yvelafers-ikadreben.html). საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სტატია სოციალურ ქსელშიც გამოქვეყნდა და იმაზე მეტი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე წარმომედგინა. სამწუხაროდ, კომენტარებში ზუგდიდელი „ნაღები“ ინტელიგენციის წარმომადგენლები ვერ ვიხილე, რამაც ძალიან ამაფორიაქა და დამაეჭვა.

იმათ, ვისაც ზემოხსენებული სტატია არ წაუკითხავს, შევახსენებ, რომ საქმე ეხება ექსპირველ ლედის სანდრა რულოვსის მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენას ზუგდიდის რაიონში ყველა მისთვის მოსალოდნელი შედეგებით...

სტატიაში ზუგდიდელი ამომრჩევლის ყურადღებას ვამახვილებდი იმ საშიშროებაზე, რაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ადგილობრივი მოსახლეობის აცუნდრუკებას,ჯიბრზე წასვლას და გამოუსწორებელ შეცდომად იქცეს!

ნიშანდობლივია, რომ კომენტარებში არამეგრელი წარმოშობის ადამიანები უფრო აქტიურობდნენ — ისინი ღიად მიანიშნებენ, რომ **ზუგდიდელთა მხარდაჭერით სანდრა რულოვსის გადეპუტატება არა მარტო სამეგრელოს სირცხვილი იქნება, არამედ ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების რეალური საფუძველიც შეიძლება გახდეს!!!**

ასე, მაგალითად, ქალბატონი **მზეო ჯანელიძე** ძალიან შორს მიდის და ღიად აცხადებს, რომ **თუ სამეგრელომ არ გააცნობიერა, „საქართველო უომრად არ დათმობს სამეგრელოს“**. სხვათა შორის, ამ კერძო შემთხვევას მკითხველის სამსჯავროზე არც გამოვიტანდი, ქალბატონ მზეოს თანამოაზრეები რომ არ ჰყავდეს.

„რულოვსის ზუგდიდიდან გადეპუტატება ვერაგული ჩანაფიქრია სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს დასაპირისპირებლად. ეს ემსახურება კიდევ უფრო შორეულ მიზანს — სამეგრელოს მოწყვეტას საქართველოსგან.

ოქტომბრის არჩევნების მთავარი საკითხია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს საქართველოში, არამედ, ის, თუ ვინ მოიგებს, კერძოდ, სამეგრელოს, — წერს ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი **ზურაბ ხასაია.**

ცნობილი ფინანსისტი, ექსფინანსთა მინისტრი **დავით იაკობიძე** კი სვამს რიტორიკულ კითხვას: **რა ჰიპოსტასით გვევლინება ქ-ნი სანდრა ზუგდიდის მაჟორიტარულ არჩევნებში?“**

სხვათაშორის, ეს კითხვა ძალიან ბევრს აწუხებს, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. სამწუხაროა, რომ ზუგდიდელთა გარკვეული ნაწილი თავიანთ კომენტარებში სანდრას ზუგდიდიდან შესაძლო გადეპუტატებას დემოკრატიული პროცესების ანარეკლად მიიჩნევენ და აქეთ გვამუნათებენ: **რატომ ვახდენთ ზემოქმედებას ამომრჩეველზე და რატომ არა აქვს ექსპირველ ლედის უფლება, კენჭი იყაროს ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქში?**

აი, რას წერს ბატონი **ფრიდონ აბაკელია: „მე მგონი, ბატონი ზაური დემოკრატიული არჩევნების და, საერთოდ, დემოკრატიული საზოგადოების არსში ვერ ჩაწვდა... მას მეგრელები წინასწარ დამნაშავეებად გამოჰყავს მათი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების გამო“.**

ჩემთვის გაურკვეველია, ვის აზრს გამოხატავს ბატონი ფრიდონი — **ჩვეულებრივი ზუგდიდელი ამომრჩევლის თუ ზუგდიდის ინტელიგენციის, რადგან, ხელწერაზე ეტყობა, რომ წერა-კითხვასთან მთლად მწყრალად არ უნდა იყოს,** მაგრამ სხვა **საკითხია, როგორ იყენებს იგი საკუთარ ინტელექტუალურ რესურსებს და რამდენად თავსებადია მისთვის ყბადაღებული დემოკრატია ეროვნულ ინტერესებთან.**

ამასაც მაგალითად არ მოვიყვანდი, თანამოაზრეები რომ არ ჰყავდეს!

სამეგრელოს მკვიდრი ნოდარ ცანავა კი მიიჩნევს, რომ აქ **„დაფარულ გარემოებასთან“** გვაქვს საქმე: **„აქ რაღაც სხვა, დაფარულ გარემოებებთან გვაქვს საქმე, თორემ ზუგდიდელებში ერთი ღირსეული ქართველი ადამიანი როგორ არ გამოინახა?!“**

ეს კითხვა, სხვათა შორის, მეც მაწუხებს. **ზუგდიდს ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელთაც საზოგადოების უპირობო მხარდაჭერა აქვთ. მაგრამ, რატომღაც განზე დგანან — ხელისუფლებას „ნაღები“ ზუგდიდელების კანდიდატურა რომ წამოეყენებინა, ამდენი ფორიაქი არ დაგვჭირდებოდა — ალბათ, არც სანდრა ისურვებდა იქ თავის შერცხვენას... თუმცა, ამაზე არც ხელისუფლებამ იზრუნა და არც „ნაღებმა“ ზუგდიდელებმა შეიწუხეს თავი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი სცენარით მიდის!!!**

ახლა კი ასობით კომენტარიდან (როგორც ვთქვი, სტატია სოციალურ ქსელშიც გამოქვეყნდა) სიცხადისთვის რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან:

„არსებობს საშიშროება, რომ დანარჩენი საქართველოს სიძულვილი დაიმსახურონ ზუგდიდელებმა, თუ ეს წაკლა გავა“;

„სამეგრელომ ღირსებას არ უნდა უღალატოს“;

„სანდრას თქვენი ბედი არ ანაღვლებს — ვერაგული გეგმის შესასრულებლად მოდის!“

„ზუგდიდს ნაღდი ლიდერი არ ჰყავს, პატრიოტიზმში ჩამკვდარია....“

ძალიან ბევრია ცინიზმითა და შეურაცხყოფით გაჟღენთილი კომენტარიც, მაგრამ აქ მათი ხელახლა საჯაროდ დემონსტრირებისგან თავს შევიკავებ.

ბატონებო და ქალბატონებო!

სანდრა რომ პოტენციური „პარლამენტარია“, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ მან ეს „ჯილდო“ ზუგდიდიდან არ უნდა მიიღოს!

ჩემთვის და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის გამაღიზიანებელია ამ ბოლო დღეებში ზუგდიდიდან მიღებული ინფორმაცია, რომ **„სანდრამ შეიძლება ზუგდიდში გაიმარჯვოს“**. ეს არ უნდა დავუშვათ, თუმცა, ამაზე უფრო მეტად შემზარა ვინმე ედემ იზორიას ფეისბუქსტატუსმა, რომელიც სოციალურ ქსელში მან მეგრულ ენაზე გამოაქვეყნა და **„მეგრელ სეპარატისტებს“ მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო აქციაში, რომელიც ზვიად გამსახურდიას ძეგლთან უკვე მეოთხე დღეა იმართება.**

არ ვიცი, რამდენი ადამიანი აღმოჩნდა ტვინნაღრძობი და რამდენი შეიკრიბა ზუგდიდში გამსახურდიას ძეგლთან ახლოს, მაგრამ, დავიშოკე, როცა შევიტყვე, **რომ პროტესტის მიზეზი მეგრული ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება ყოფილა თურმე!**

გესმით, ხალხო — **მეგრული ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსი...**

იქნებ, თქვენ მაინც ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს და საით მიაქანებს ასეთი ავანტიურიზმი სამეგრელოს?!

გასაგებია, რომ ამ მართლაცდა სეპარატიზმს მიღმა უცხოური სპეცსამსახურების კვალი იკვეთება, მაგრამ რა შეღავათია ეს დანარჩენი საქართველოსთვის?!

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: დღესაც ვინ გვიშლის ვისაუბროთ მეგრულ ენაზე, ვწეროთ ლექსები მეგრულად, შევქმნათ უნიკალური მეგრული მელოდიები, გამოვცეთ თუნდაც „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“, მაგრამ რომელი სულწაწყმედილის ტვინში მწიფდება აზრი, რომ ყოველივე ამას რეგიონალური ენის სტატუსი სჭირდება? იქნებ სკოლებშიც მეგრულ ენაზე დავიწყოთ სწავლება და ქართული ენა ფაკულტატიური სტატუსით დავტოვოთ?!

ინტელიგენცია იმიტომაც არის ინტელიგენცია, რომ იგი ჩვეულებრივი მასისგან განსხვავდება და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ერის, სამშობლოს და მისი მომავლის წინაშე!

როგორც ჩანს, ადგილობრივი ინტელიგენცია **„არ ვიცი, არ დამინახავს“** პოზიციაშია, ან ამ ყველაფერს **„გაგებით“** ეკიდება (რაც, ფაქტობრივად, თანამოაზრეობას ნიშნავს და იგივე დანაშაულია), მაგრამ, ხომ არსებობს ზუგდიდს გარეთ ზუგდიდური ინტელიგენცია, რომელმაც სათანადოდ უნდა გაიაზროს კარს მომდგარი საშიშროება და ტვინნაღრძობ თანამოქალაქეებს საშუალება არ მისცეს, ბრმად აიყოლიონ გაუთვითცნობიერებელი მასა!

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო: მართალია, ჯერ მეგრული ენის რეგიონალურ სტატუსს ითხოვენ, მაგრამ, შემდეგ, ალბათ, სამეგრელოს დამოუკიდებლობაც ხომ არ მოუნდებათ 30 ვერცხლად გაყიდულ პროვოკატორებს?!

ბატონებო და ქალბატონებო!

წინა წერილში ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: **ზუგდიდს თქვენი სახით ბევრი ღირსეული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჰყავს, მაგრამ ყველაფერი ხუხულასავით დაინგრევა და ღირსებასაც ბზარი გაუჩნდება, თუ განგაში დროულად არ ატეხეთ და ისტორიული კოლხეთი სამარცხვინო „ინიციატივებისგან“ არ დაიცავით!**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ლეგენდარული ცოტნეს შთამომავლები ვართ, იმ ცოტნესი, რომელმაც მტერი გაიაცა, თავისი სისხლი და ხორცი კი უბედურებისგან იხსნა!

მტკიცება არ უნდა, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებულია სამეგრელოში სიტუაციის არევით და ისედაც დასუსტებული საქართველოს კიდევ უფრო დასუსტებით!!!

არ ვიცი, რამდენად ახლოსაა რეალობასთან, მაგრამ ერთმა, წარმოშობით ზუგდიდელმა ინტელიგენტმა ქალბატონმა გამაფრთხილა: **შენს პრეტენზიებს ზუგდიდი არ მიიღებს, რადგან ზუგდიდელი არ ხარ და თანაც, რუსთაველის პროსპექტზე დაბადებულიო.**

გამეცინა — მე არც გუბერნატორობას ვაპირებ და არც დეპუტატობაში ვეცილები ვინმეს, უბრალოდ, გული მტკივა, რომ ზუგდიდელთა ნაცვლად მე მიხდება ზარის დარისხება და იმის შეხსენება, რომ ძალით არ უნდა გავგიჟდეთ! არადა, ეს ყველაფერი ცეცხლთან თამაშია, ხოლო ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება!

ზაურ ნაჭყებია

P. S. არ ვიცი, როგორ გამომეპარა, მაგრამ, რამდენიმე დღის წინათ გავიგე, რომ წელს ზაფხულში, ანაკლიაში მუსიკალური ფესტივალი, ანუ იგივე „კაზანტიპი“ ჩატარებულა. ამბობენ, აღვირახსნილობა წელს უნდა გენახათო. იმასაც ამბობენ, რომ ე.წ. მუსიკალური ფესტივალის რამდენიმე მონაწილე წამალში „გაიპარა“ თურმე. მართალია, ეს სათანადოდ არ გაპიარებულა, მაგრამ შუბი ხალთაში ხომ არ იმალება?!

რა ხდება ჩვენს თავს, მეგრელებო?!

ზ. ნ

ქართულ მიწა-წყალს უერთდება

საქართველოსთვის შეიძლება გადაიქცეს სულიერ ინსპირაციად უფრო დიდი ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნებისა.

ჩვენ გვსურს, რომ ამ განწყობით დავასრულოთ ეს პროცესი, რომელიც ბოლო დღემდე ძალიან რთულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ჩვენ თანმიმდევრულად ჩავატარეთ 10 პარიტეტული სხდომა. მთავრობამ გამოყო 107000 ევრო , რომლითაც განხორციელდა მამულის დიაგნოსტიკური და წინასწარი შეფასებითი სამუშაოები. შემდგომში მივიღათ ორი მნიშვნელოვანი სამთავრობო განკარგულება ლევილის მამულის შემდგომი მოწყობისა და რეაბილიტაციის შესახებ. 10 წლის განმავლობაში მამულის შემდგომი მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის გამოიყოფა 5 600 000 ევრო. მინდა, გითხრათ, რომ ამ აკადემიურმა, თანმიმდევრულმა მიდგომამ თავისი შედეგი გამოიღო და 23 სექტემბერს ფრანგული დროით 15:30-ზე, ლევილის მამულში ხელი მოეწერება მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს.

გელა დუმბაძე,
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი



მეტი დაკავებული – მეტი პრემია!

მთავარმა პროკურატურამ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დარბევისა და მასობრივი დაკავების ფაქტზე ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს ბრალი წარუდგინა.

როგორც პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე აღინიშნა, პროკურატურამ მოიპოვა აქამდე უცნობი ვიდეოკადრები, რომელშიც ასახულია, როგორ გასცემს 2011 წლის 26 მაისს დანაშაულებრივ ბრძანებას დათა ახალაია, რომელიც ითხოვს ყველა მომიტინგის დაკავებას.

„საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დარბევისა და მასობრივი დაკავების ფაქტზე, ბრალდებულად იქნა ცნობილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი დავით ახალაია, მისი მოადგილე ვასილ ლელუაშვილი, ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი რევაზ შიუკაშვილი და მეორე მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან ქარდავა.

ასევე საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, აღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, დაბარებულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე. მას მიეცა გონივრული დრო საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების მიზნით.

„26 მაისის საქმეზე“ გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობდა, რა დროსაც გამოვლენილ იქნა ახალი გარემოება. კერძოდ, პროკურატურამ მოიპოვა გამოძიებისთვის აქამდე უცნობი ვიდეოკადრები, რომელიც იმავე ღამეს გადაღებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატორის მიერ. კადრებში ასახულია 2011 წლის 26 მაისს თუ როგორ გასცემს დანაშაულებრივ ბრძანებას დავით ახალაია, რომელიც ითხოვს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ყველა მომიტინგის დაკავებას და სანაცვლოდ მის თანამშრომლებს ჰპირდება მაღალ პრემიებს. კადრებში ასევე ჩანს მომიტინგეთა დარბევისა და დაკავების პროცესი, რასაც ადგილზე ხელმძღვანელობდნენ დავით ახალაია და სხვა მაღალჩინოსნები.

აღნიშნული ქმედებით, ჯერ კიდევ ღონისძიების დაწყებამდე, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეები აღმოჩდნენ პოლიციელების ალყაში და მათ გამიზნულად არ დაუტოვეს თავისუფალი გასასვლელები. დაახლოებით 00:10 საათზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, საპოლიციო დანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია. თუმცა მომიტინგეებს განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე ერთდროულად და ინტენსიურად, რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელდა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით აღჭურვილი პოლიციის რაზმების იერიში, რა დროსაც შეგნებულად გამოიყენეს გაუმართლებლად არათანაზომიერი და გადაჭარბებული ძალა. შედეგად, გარდაიცვალა ორი ადამიანი, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო 250-მა ადამიანმა, უკანონოდ დაკავებული იქნა 800-მდე მომიტინგე.

26 მაისის ღამეს დავით ახალაიას მიერ გაცემული ბრძანება – „მეტი დაკავებული, მეტი პრემია“, შესრულდა „კუდ“-ის ქვედანაყოფების მიერ. პრემიის სახით მხოლოდ „კუდ“-ის თანამშრომლებზე გაიცა დაახლოებით 900 000 ლარი. მათ შორის, პირადად ივანე მერაბიშვილისა და მისი მოადგილის ბრძანებით, ლევან ქარდავამ პრემიის სახით მიიღო 13 780 ლარი, ვასილ ლელუაშვილმა 9000 ლარი, დავით ახალაიამ 6500 ლარი, ხოლო რევაზ შიუკაშვილმა 4135 ლარი.

იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა თვალთმაქცური რეაგირება. კერძოდ, რეალური ვითარების დამალვის და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილის, დავით ახალაიას და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით, მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 რიგითი თანამშრომელი. დასჯილი პოლიციელებიდან არც ერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის სამი თანამშრომელი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან სხვა საფუძვლით, 26 მაისამდე იყო დათხოვნილი.

აღსანიშნავია, რომ ივანე მერაბიშვილის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესებზე, ბრალდებული და მისი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ თავისუფლების მოედნის მხარეს სამართალდამცავებს დატოვებული ჰქონდათ ღია გასასვლელი და მომიტინგეებს შეეძლოთ ტერიტორიის თავისუფლად დატოვება. მაშინ როდესაც, წარმოდგენილი ვიდეომასალით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ თავისუფლების მოედნის მხარეც სრულად იყო გადაკეტილი კუდ-ისა და შს სამინისტროს სხვა ქვედანაყოფების მიერ, მომიტინგეები განზრახ მოაქციეს ალყაში, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოხდა მათი მასობრივი დაკავება. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ჩატარებული სპეცოპერაცია მიზნად ისახავდა არა საპროტესტო აქციის დაშლას, არამედ აქციაში მონაწილე მომიტინგეების სამაგალითო დასჯას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „26 მაისის საქმეზე“ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ივანე მერაბიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, მასვე 1 წლის, ერთი თვის და 15 დღის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

საქმეზე გრძელდება გამოძიება დავით ახალაიას, ვასილ ლელუაშვილის, რევაზ შიუკაშვილის და ლევან ქარდავას მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის ჩადენილი ძალადობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აცხადებენ პროკურატურაში.

მოამზადა
კახაბერ ჩოლოყაშვილმა

(პირველი გვერდიდან)

ნიკას გვარამი!

გუშინ, რა თქმა უნდა ვერ დავუშვებდით სანდრას კრახს მისივე კუთვნილ არხზე და ინტერაქტივი საერთოდ ჩახსენით. ეს არც არის გასაკვირი, „რუსთავი-2“ ყოველთვის ყალბი იყო და არის, იმ ავადსახსენებელი 9 წლის მანძილზე ვერაფერს ხედავდა ცუდს და ამ 4 წლის განმავლობაში ვერაფერს ხედავს კარგს. თქვენი ეგზიტპოლიც ასეთივე წარმატებით გაყალბდება 8 ოქტომბერს, ეგზიტპოლი, რომელსაც თქვენსავით რეპუტაციაშელახული თქვენი კომპანიონი GFK ჩაატარებს.

პრინციპში, სააკაშვილის მეგობარ ადეიშვილის მოადგილე, ყველაფრის გამპრავებელი „ტელე-მენეჯერისგან“, გაყალბება რატომ უნდა გაუკვირდეს ვინმეს?

უკვე დღეს, გამოვა მთვლელი კომპანია და „გააპრავებს“ „რუსთავი-2“-ს, მერე თავად „რუსთავი-2“ „გაიპრავებს“ თავს და ბოლოს ამ „გაპრავებაში“ ჩაერთვებიან „ექსპერტები“, NGO-ები და .... იყავით ასე თავის მართლებაში, ასევე დარჩით – არ თქვათ სიმართლე. მაინც არავინ დაგიჯერებთ.

* * *

2. ოთარ დანელიას პირადად არ ვიცნობ – გავატაროთ. მაგრამ შენ გიცნობ ნიკა. ასე 15-18 წლის რომ იყავი, ჩემს სტუდიაში თამაშობდი „რა? სად? როდის?“, „ბნელი და უკუნი“ რომ დაარქვით, იმ წლებში. ზუსტად ვიცი, რომ ნორმალური ტელევიზიები არ აქვეყნებენ ამ სახის ვიდეოებს. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანების კერძო საუბარს, გაუფრთხილებლად (როდესაც სუბიექტმა არ იცის, რომ მისი საუბარი შეიძლება იწერებოდეს), ჩაიწერ ტელეფონით, ჩართული მიკროფონით ტელევიზიაში, მოსასმენს ჩაუმონტაჟებ მანქანაში თუ საძინებელში ჩამოუშვებ ზედა სართულიდან? სულ 1-2 თვის წინ, შენმა ჟურნალისტმა იგივე იკადრა ქალბატონ მანანა კობახიძესთან მიმართებაში, შენმა არხმა კი, იკადრა და აჩვენა ეს ჩანაწერი. არა და მაშინ მიკროფონები იყო გამორთული (ხმა ცუდად ისმოდა), სამაგიეროდ კამერები იყო მომართული. შეგახსნებთ, პარლამენტის ფოიეში ხდებოდა ეს.

შენი არხის ყველა თანამშრომელმა იცის, რომ რაც ქალბატონ მანანასთან ჩაიდინეთ - უღირსი ამბავია. ამ ადამიანებს მაინც ნუ სვრი. ნუ აწვალებ ამ „რუსთავი-2“-ის თანამშროლებს.

3. მე და შენ, ხომ ორივემ ვიცით, 2016-ში უარესად წააგებთ, 2012-თან შედარებით. ჩვენს გარდა ეს იცის მთელმა საქართველომ, თქვენმა მცირერიცხოვანმა მხარდამჭერებმაც კი. მსოფლიომ იცის, რომ ამ ქვეყანაში სააკაშვილის სისასტიკის მანქანა უკვე დამარცხდა, რეინკარნაციის საშუალების გარეშე.

4. ჩართულ მიკროფონებთან სარეკლამო ჭრის დროს ნუ საუბრობთო... :)

ნიკა მესმის, რომ ტელევიზიაშიც გენერალური პროკურორი ხარ და ტელევიზია ისევე იცი, როგორც სააკაშვილმა „ვეფხისტყაოსანი“.

5. ამიტომ აგიხსნი, როგორ ხდება ეს ამბავი:

6. ა) ყველა მიკროფონის ხმა შედის დიდი ხმის პულტში.

ბ) ხმის რეჟისორი, ოპერატორი, იმ ხმის ბილიკს რთავს საეთეროდ, რომელშიც რესპონდენტი საუბრობს. ზუსტად ამის გამო არ ისმის სხვა სპიკერების წამოძახილები, ან გადაცილებული დროის შემდეგ წარმოთქმული სიტყვები. ხოლო თუ შორიდან ისმის ვინმეს ხმა, ამ ხმასაც – გიორგი გაბუნიას მიკროფონი იღებს, რამეთუ მხოლოდ მისი მიკროფონი არ ითიშება ეთერის განმავლობაში.

გ) ყველა მიკროფონი ერთდროულად რომ იყოს ჩართული და არ ითიშებოდეს, მაყურებელი ვერასდროს ვერაფერს გაიგებდა.

7. რა მოხდა სინამდვილეში? ყველასთვის რომ გასაგები იყოს, ავხსნი:

8. ა) ნიკა გვარამია, შესვენების დროს, როდესაც ეთერში სარეკლამო ჭრა გადიოდა, მისთვის ჩვეული საქმით დაკავდა. კერძოდ – მიყურადებით. როგორც ადეიშვილის დროს უსმენდა, იწერდა და აშანტაჟებდა – ისევე აგრძელებს ახლაც, სადაც ახერხებს და როგორც ახერხებს. აბა „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებს ჰკითხეთ, როგორ ჰგონიათ მათ, რაზე ჩურჩულებენ ერთმანეთში, დღესაც უსმენს და უთვალთვალებს თუ არა „სიტყვის თავისუფლების შუქურა„ ნიკა გვარამია – თითოეულ მათგანს?

ბ) იგი უსმენდა არა ექვსივე პარტიის სპიკერების საუბარს, არამედ მხოლოდ ქართული ოცნების. თუ ეს ასე არაა – მაშინ გვაჩვენოს, გასაჯაროს, ყველა სხვა სუბიექტის იგივე სახის (ხარისხის) ჩანაწერი, იგივე დროის მონაკვეთში და თან ახსნას რანაირად ხდება, რომ რესპონდენტების საუბარი იწერება ისე, რომ ისინი ამის შესახებ არ არიან ინფორმირებულნი.

გ) მეტიც, გვარამია არა მხოლოდ უსმენდა, იწერდა კიდეც ამ საუბრის აუდიო-ვიდეო ვერსიას. როდესაც აღმოაჩინა ის ჩანაწერი, რაც საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გაავრცელა, რომ არ „დამწვარიყო“ მიყურადებაში, სარეჟისოროში შეიყვანა ოპერატორი და მონიტორიდან გადააღებინა, წინასწარ ჩაწერილი ვიდეო.“

* * *

განსჯა თქვენთვის მომინდვია ძვირფასო მკითხველო. ჩემი მხრიდან კი მხოლოდ ერთს დავსძენ: კოკა ყანდიაშვილი პროფესიონალი „ტელევიზიონშჩიკია“, ნაპროკურორლარი გვარამიასგან განსხვავებით, რომელიც არც იმ საძმეში უძნია ღმერთს.

თუმცაღა, დანაპირების აღსრულებაში ნაღდი ნაციონალია, დაგვპირდა ყოველდღიურ ჯოჯოხეთს და დაუნდობლად გვწამლავს თავახდილი პანდორას ყუთიდან...

გია გაბრიჭიძე

დიდი გაუგებრობა – პაატა ბურჭულაძე

ქართველი ჟურნალისტები მეტისმეტად ხშირად უწოდებენ პაატა ბურჭულაძეს „მსოფლიო ბანს“, რაც უკვე სასაცილო ხდება. „ბანი“ „შავლეგოშია“, კახურ მრავალჟამიერში, ან „ჰასანბეგურაში“, საოპერო ხელოვნებაში კი არანაირი „ბანი“ არ არსებობს: არის „ბასი“ და „ბარიტონი“.

პაატა ბურჭულაძე უდავოდ შედის მსოფლიო „ბასთა“ ხუთეულში რუჯერო რაიმონდისთან, მატი სალმინენთან, რენე პაპესთან და კონსტანტინე კვაჩთან ერთად. შალიაპინთან მისი გატოლება გადაჭარბებულია, თუმცა პატარა ქვეყნისთვის საამაყო ფიგურაა – მსოფლიოს (ძალიან პრესტიჟულ) საოპერო სცენაზე.

ამ ასპარეზზე სულ რამდენიმე ქვეყანა თუ შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო „ზესახელმწიფოდ“. მათ შორისაა საქართველო, და ამაში პაატა ბურჭულაძის წვლილი ძალიან დიდია.

ბუნებრივია, ასეთი დამსახურების, ავტორიტეტის, შესაბამისად, ამბიციის მოღვაწე საქართველოში ადრე თუ გვიან (უფრო შემოქმედებითი დაისისკენ) აუცილებლად მოინდომებდა ხსენებული დამსახურებისა და ქარიზმის კონვერტაციას ჯერ საზოგადოებრივ, შემდეგ კი პოლიტიკურ გავლენად. მაგრამ რა გამოუვიდა რეალურად? გამოუვიდა კომედია, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება: პოლიტიკა ხელოვნება კია, მაგრამ ხელოვანთაგან, უმრავლეს შემთხვევაში მეტისმეტად შორსაა.

* * *

დავიწყოთ ხათუნა ლაგაზიძით და მასთან დაკავშირებული სკანდალით: რასაკვირველია, იგი სწორედ იმიტომ განუდგა ქართული პოლიტიკის „ბანს“, რომ სიაში არ ჩასვეს. განსხვავებით მერაბ მეტრეველისგან, ლაგაზიძე მხოლოდ ამ მიზეზით გაემიჯნა ბურჭულაძის პარტიას და არა იმიტომ, რომ ყოფილ „ნაციონალებთან“ ალიანსი მიუღებლად მიაჩნდა. ამას, უკვე მოგვიანებით მოჰყვა ბრალდებები „კრიმინალთან კავშირზე“, ქმრის სასტუმროში გატარებული ყოველი დღის ანაზღაურების მოთხოვნა და ა.შ.

აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ ხათუნა ლაგაზიძე არ აყენებს ეჭვქვეშ „გირჩისა“ და ვაშაძის პარტიათა ლიდერების ჩასმას სიის „ზედა“ ნაწილში. ასე რომ იქნებოდა, მაშინაც იცოდა, როცა ალიანსს გულმხურვალედ დაუჭირა მხარი. ლაგაზიძის აღშფოთება და სასტიკი განაწყენება იმან გამოიწვია, რომ ბურჭულაძემ თავისი პარტიის („სახელმწიფო ხალხისთვის“) კვოტით ამჯობინა მას „ვიღაც სხვები“. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იყვნენ „სხვები“ – ეს უკვე „სალაპარაკო მასალაა“ და მეტი არაფერი: ხათუნას მიაჩნდა, რომ იმ „სხვებზე“ მეტად იმსახურებდა სიაში ყოფნას და ამაში უდავოდ მართალია არა მორალური, არამედ ელემენტარული პოლიტიკური პრაგმატიზმიდან გამომდინარე.

ყოფილი თანამებრძოლის ბუნებრივ განრისხებას ბურჭულაძის „ახალი სახეები“ ასე პასუხობენ: „სიაში საქმის გამკეთებლები უნდა იყონ და არა მოლაპარაკეები, ჩვენ გვერჩივნა პარლამენტში ის ადამიანები ყოფილიყვნენ, ვისაც საქმის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ისინი, ვინც უკვე გაკეთებულზე აკეთებს კომენტარებს“.

ანუ, იგულისხმება, რომ ხათუნა ლაგაზიძეს მხოლოდ კომენტირება შეუძლია (მოვლენებისა თუ პროცესების) მაშინ, როდესაც ისინი, ვინც პაატა ბურჭულაძემ მის ნაცვლად სიაში ჩასვა, „საქმის გამკეთებლები არიან“.

ეს რა სიგიჟეა საერთოდ? ამ სასაცილო არგუმენტის ავტორებს პოლიტიკური ცხოვრებისა და ტექნოლოგიის ანაბანა არ გაეგებათ; ანუ, ბევრად უხეში ჟარგონით თუ ვიტყვით „ინჩი-ბინჩი არ იციან“: რას ნიშნავს: „კომენტირება შეუძლია და არა საქმის კეთება“?! პოლიტიკური ხელოვნების არსი, პოლიტიკოსის მთავარი „საქმე“, მისი „პური“ სწორედ არტიკულაციის უნარია! პირველ რიგში ვერბალური არტიკულაციისა. ის, ვისაც ამგვარი უნარი არ გააჩნია, ან ამით არ არის ცნობილი, პოლიტიკოსი საერთოდ არაა და სწორედ მას არ ესაქმება არაფერი პარლამენტში.

რატომ მოიწვია ხათუნა ლაგაზიძე, თავის დროზე, პაატა ბურჭულაძემ, რათა იგი მისი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილიყო? სწორედ იგი რატომ აქცია თავისი პარტიის სახედ და არა ისინი, ვინც მას ახლა ამჯობინა? ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ცნობადობით (სხვა, ასე თუ ისე ცნობადი სახე, მერაბ მეტრეველის გარდა, მის პარტიაში არც იყო) და მეორე, სწორედაც აზრობრივი არტიკულაციის უნარით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პოზიციის გამოხატვისა და დასაბუთების, აგრეთვე დისკუსიის უნარ-ჩვევით.

არგუმენტი, რომ „პარლამენტში მოლაპარაკეები კი არ გვჭირდება – ვისაც მხოლოდ კომენტარის გაკეთება შეუძლია – არამედ ისინი, ვინც საქმეს გააკეთებენ“, ძალიან ჰგავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარის ბორის გრიზლოვის იდიოტურ გამონათქვამს: „Парламент – это не место для дискусий!“

კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: აქ იგულისხმებიან არა ჯაფარიძე თუ სხვა „გირჩელები“, მამუკა კაციტაძე ან ვაშაძე (ყველა, ყველა და ამათ არც ცნობადობა აკლიათ, არც ლაპარაკის უნარი), არამედ ისინი, ვინც ბურჭულაძემ უშუალოდ თავისი პარტიის კვოტოთ ჩასვა სიაში.

ბურჭულაძე გვიმტკიცებს, რომ მართალია, ხათუნა ლაგაზიძე მათზე ბევრად ცნობადი იყო, ლაპარაკიც იცოდა, კომენტარის გაკეთებაც და თავიდან ამიტომ დასჭირდა, მაგრამ როცა საქმე –საქმეზე, ესე იგი სიისა და მომავალ პარლამენტში წარმომადგენლობაზე მიდგა საქმე, „ლაპარაკის უნარის“ მქონე ფიგურას ისინი ამჯობინა, ვისაც ამ მხრივ ბევრად ნაკლები უნარი აქვს, რაიმე განსაკუთრებული არტიკულაციის ნიჭითაც არ გამოირჩევიან (ლაგაზიძეს აშკარად ვერ შეედრებიან), მაგრამ, სამაგიეროდ, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, თურმე, რაღაც ისეთ „საქმეს“ გააკეთებენ, რაღაც იმდენად გენიალურ ეკონომიკურ პროგრამას „დადებენ“, ერჰარდსა და ლი ქუან იუს რომ შეშურდებოდა.

ასეთი კურიოზული არგუმენტი ხათუნა ლაგაზიძეს კი არა, თვით დედა ტერეზასაც გადაიყვანდა ჭკუიდან: „დეპუტატმა ლაპარაკი, კომენტარი და პოზიციის დასაბუთება კი არა, საქმის კეთება უნდა იცოდესო“.

* * *

თუმცა, ეს კიდევ არაფერი: დავაკვირდეთ, რა მსოფლმხედველობის და სოციალ-ეკონომიკური პროგრამის „მატარებელი“ პერსონაჟები შემოიკრიბა პაატა ბურჭულაძემ.

თავდაპირველად, იგი პოზიციონირებდა „მესამე ძალად“, – როგორც „ნაციონალთა“, ასევე „ოცნების“ ალტერნატივად. სინამდვილეში რამდენად ნეიტრალური ან გულწრფელი იყო, სხვა საკითხია. ამას აქ დავანებოთ თავი, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ ხედვას, ასეთი რენომესა და თავდაპირველი რეიტინგის პოლიტიკოსი ხომ აუცილებლად უნდა ცდილიყო, გამიჯვნოდა რადიკალურ პოზიციებს როგორც „მარჯვნივ“, ასევე „მარცხნივ“?!

რეალურად, კიდევ უფრო დიდი კომედია დაიდგა: პაატა ბურჭულაძე, რომელიც მოსახლეობის დიდი ნაწილის თვალში განასახიერებდა სოციალური ჰუმანიზმის, სოციალური თანალმობის იდეას, პოლიტიკურ ალიანსს აფორმებს ლიბერტარიანელებთან, „სოციალური დარვინიზმის“ ადეპტებთან, რომელთა ფილოსოფია ისაა, რომ „ცხოვრება ჯუნგლებია“, ძლიერმა უნდა შეჭამოს სუსტი და „ახია სუსტზე“; და რომ „თუ ჯანმრთელი ადამიანი ღარიბია, ეს მხოლოდ მისი ბრალია“; რომ სახელმწიფო არაფერში უნდა ჩაერიოს, – მარტოოდენ გზები დააგოს, მართლწესრიგი უზრუნველყოს, ყველაფერი დანარჩენი კი „ჯუნგლების კანონით“ გადაწყდეს; ანუ (ვიმეორებ) „ძლიერმაშეჭამოს სუსტი“ – „ზელიბერალური“ კანონმდებლობით ადამიანთა სახლებიდან გამოყრით, 60 000 დოლარად ღირებული ბინის 5 000 დოლარად გაყიდვით, საბანკო კრედიტის ერთი თვით დაგვიანებისთვის და ა.შ. და ა.შ.

სწორედ იმ უბედური ადამიანებისა, ვისთვისაც, პაატა ბურჭულაძე, მისი მართლა ღვთისნიერი მეცენატობის და საზოგადოებრივი მოღვაწეობისას, ყიდულობდა ბინებს.

სინგაპურისა არ ვიცი და საქართველოში, ამ ყბადაღებული „ლიბერტარიანობით“, სწორედ იმ არსებებმა იხეირეს ჯერჯერობით, „ჩასაფრებულები“ რომ ელოდებიან მორიგ მსხვერპლს „საფინანსო ბაზარზე“.

რასაკვირველია, ზემოთქმული „მემარჯვენეთა“ პოზიციის უტრირებაა: ამ იდეოლოგიას (მათ შორის მის უკიდურესად ექსტრემისტულ და კაცთმოძულე, ანუ ე.წ. „ლიბერტარიანულ“ მიმართულებას) აქვს არსებობის უფლება. არსებობს კიდეც, საკუთარი არგუმენტებიც გააჩნია – მოგვწონს ჩვენ ისინი თუ არა.

მაგრამ, ერთი მხრივ, „მახათას მთის ტაძარი“, „მე მინდა მქონდეს თბილი სახლიიიიი“, სოციალური თანალმობა და სოციალური ჰუმანიზმის კეთილშობილი, ღრმად ქრისტიანული იდეა, ხოლო, მეორე მხრივ (იქვე), თვალებაპრიალებული ლიბერტარიანელები, „სოციალური ჯუნგლები“ ...ცოტა არ იყოს კომიკური არაა?

* * *

ყველაზე სასაცილო კი ის იქნება, თუ ბურჭულაძის პარტიამ, რომელმაც ასე „ხმამაღლა“ დაიწყო, 8 ოქტომბერს 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. თუ ასე მოხდა, ამის მთავარი მიზეზი მაინც არა სიაში „ლიბერტარიანელთა“ ყოფნა, არამედ ეს ხმაურიანი სკანდალი გახდება.

რაც შეეხება ხათუნა ლაგაზიძეს, პარტიის თავდაპირველ რეიტინგში მას იმაზე შეუდარებლად ნაკლები წვლილი ჰქონდა, ვიდრე „მსოფლიო ბანს“, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმათზე მეტი, ვინც ბურჭულაძემ მის ნაცვლად ჩასვა სიაში, როგორც „საქმის გამკეთებლები“.

რისი გამკეთებლები არიან, ესეც სულ მალე გამოჩნდება. ბევრი გვინახავს ბოლო 30 წლის განმავლობაში.

მიხეილ გეწაძე

სასამართლომ ნაცმოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის მეუღლეს ქვეყნიდან გაუსვლელობა შეუფარდა

სენაკის რაიონულმა სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ მარტვილი-აბაშის მაჟორიტარობის კანდიდატის ზაალ გოროზიას მეუღლეს ოლგა ჩურკანოვას ქვეყნიდან გაუსვლელობა შეუფარდა. პროკურორი 2 ათასი ლარის ოდენობის გირაოს და შემაკავებელი ხასიათის აღკვეთის ღონისძიებასაც ითხოვდა, რასაც ადვოკატი და თავად ბრალდებული არ დაეთანხმნენ. ოლგა ჩურკანოვა სასამართლოს დადგენილების გასაჩივრებას არ აპირებს, თუმცა ხელისუფლებას მასზე და მის მეუღლეზე ზეწოლაში ადანაშაულებს.

„პირველ რიგში, სააკაშვილი უნდა დაისაჯოს, შემდეგ იერარქიის მიხედვით“

„პირველ რიგში, სააკაშვილი უნდა დაისაჯოს, შემდეგ იერარქიის მიხედვით,“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ 2011 წლის 26 მაისის საქმეზე პროკურატურის მიერ რამდენიმე მაღალჩინოსნისთვის ბრალის წარდგენის შესახებ საუბრისას. მისი თქმით, 26 მაისს უდანაშაულო და უიარაღო ადამიანებს ებრძოდნენ. **„ჩვენ დავინახეთ როგორი „ყოჩაღები“ არიან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, როდესაც საკუთარ უიარაღო მოსახლეობას ებრძვიან. როგორი გამალებით გვებრძოდნენ, სრულიად უდანაშაულო და უიარაღო ადამიანებს. ნაციონალურ მოძრაობას არავითარი მორალური და სამართლებრივი უფლება არა აქვს ხელისუფლებაში მოსვლაზე, დემოკრატიულ ფასეულობაზე,“** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

პაატა ბურჭულაძის პარტია 50-მა წევრმა დატოვა

„პაატა ბურჭულაძე- სახელმწიფო ხალხისთვის“ რეგიონული და თბილისის ახალგაზრდული ორგანიზაციის 50-მდე წარმომადგენელმა დატოვა.

პაატა ბურჭულაძის ყოფილი წევრები მზიურის პარკში შეიკრიბნენ და გადაწყვეტილების მიზეზებზე ისაუბრეს.

„სახელმწიფო ხალხისთვის“ ახალგაზრდული მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი თაქთაქიშვილის განცხადებით, ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ახალგაზრდულმა მოძრაობამ დიდი წვლილი შეიტანა ამ პარტიის აშენებაში რესურსულად და სტრუქტურულად. **„ჩვენ ავაშენეთ ეს პარტია და ჩვენზე იდგა ეს პარტია“,** – აღნიშნა თაქთაქიშვილმა. იმავეს ადასტურებს კასპის ორგანიზაციის ყოფილი წევრი შალვა თაბუაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ პაატა ბურჭულაძეს ეს ხალხი ხელიდან არ უნდა გაეშვა.

„რადგან ესენი იყვნენ ნამდვილად შესაფასებელი და კარგად დასაფასებელი ადამიანები. ყოველივე ეს დადასტურდება და გამოჩნდება 9 ოქტომბერს, როდესაც დაითვლება ხმები“,– განაცხადა თაბუაშვილმა.

ნდობა არ უნდა დავკარგოთ!

კანონის მცირე დარღვევასაც კი, შეუძლია მოსახლეობას დააკარგვინოს სახელმწიფო მოხელეებისა და ინსტიტუტების მიმართ ნდობა, რაც დაუშვებელია, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელეებისადმი წერილში, რომელსაც პრემიერის ადმინისტრაცია ავრცელებს.

პრემიერის განცხადებით, ჩვენი კანონმდებლობით დადგენილია მთელი რიგი წესები, რომლებიც უნდა დაიცვან საჯარო მოხელეებმა და თანამდებობის პირებმა პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის დროს.

„თითოეულ ჩვენგანს, ვინც სახელმწიფო სამსახურში ვართ, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია ქვეყნის წინაშე. ყოველი გადაწყვეტილება, რომელსაც ვიღებთ, ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ვდგამთ, ყოველი ლარი, რომელსაც ვხარჯავთ, ემსახურება ჩვენი საზოგადოების ინტერესებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენს საქმიანობაში ზედმიწევნით დავიცვათ კანონის მოთხოვნები. გიგზავნით ამ წესებისა და შეზღუდვების ჩამონათვალს. გთხოვთ გაეცნოთ და გაითვალისწინოთ ისინი თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

სახელმწიფო სამსახურების რეპუტაცია თითოეული ჩვენგანის ხელშია და ყველა ვალდებული ვართ გავუფრთხილდეთ მას. მადლობას გიხდით გაწეული სამსახურისთვის და მოგიწოდებთ, ერთად დავამკვიდროთ პროფესიონალური, ეთიკური, კანონმორჩილი საჯარო სამსახური ჩვენს ქვეყანაში“, — ნათქვამია საჯარო მოხელეებისადმი პრემიერის წერილში.

არც ახლა გჯერათ, რომ სააკაშვილი გაგიჟდა?!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის გუბერნატორი აცხადებს, რომ მომავალი მთავრობა 9 ოქტომბრიდან ამოქმედდება. მიხეილ სააკაშვილი ვიდეო მიმართვაში საქართველოს მომავალი მთავრობის გეგმებზე საუბრობს და ამბობს, რომ არცერთ სტუდენტს სტუდენტის სტატუსი არ შეუწყდება.

მისი თქმით, აუცილებელია ქართველი სტუდენტების უცხოეთში სწავლის დაფინანსება სახელმწიფოს მიერ მინიმუმ 1 წლის განმავლობაში.

„როგორ ვაპირებთ ამის უზრუნველყოფას, ეს არის ვაუჩერების პროგრამა. ქართული ვაუჩერი ახლა ღირებულებით სულ უფრო უახლოვდება საშუალო აღმოსავლეთ ევროპულ ვაუჩერს. ამ ვაუჩერით საერთაშორისო აღიარებას უნდა მივაღწიოთ და მაშინ ჩვენი სტუდენტები წავლენ აღმოსავლეთეთ ევროპის ქვეყნებში და იქ მიიღებენ განათლებას და ჩვენ, სახელმწიფომ დამატებით იქ ცხოვრების ხარჯები უნდა ავუნაზღაუროთ“ — ამბობს სააკაშვილი და აქვე გამოეხმაურა მისი მთავრობის დროს მინისტრების სწავლის დაფინანსების საკითხსაც.

„ყურადღება მივაქციე, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩემს წინააღმდეგ იყენებს იმას, რომ რამდენიმე მოქმედი პოლიტიკოსის თუ ყოფილი მთავრობის წევრის განათლება დავაფინანსეთ უცხოეთში. საქმე იმაშია, რომ ჩვენ არა მხოლოდ ამ ადამიანების განათლება დავაფინანსეთ, ყველა ქართველი, რომელიც მიღებული იქნა წამყვან 50 უნივერსიტეტში დასავლეთში, დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. ეს პროგრამა სხვადასხვა ფორმით მთელი ჩემი პრეზიდენტობის დროს არსებობდა და რამდენიმე ათასი ქართველი სტუდენტი სახელმწიფოს დაფინანსებით წავიდა უცხოეთში.

ამ სტუდენტების მონაცემებს არ გვაძლევს განათლების სამინისტრო. სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას უნდოდა ჰქონოდა სრული მონაცემები. მას ინახავენ როგორც სახელმწიფო საიდუმლოება, მაგრამ ვიცი რომ ბევრი მათგანი დღევანდელ სახელმწიფო აპარატშიც მუშაობს. და ამით ვამაყობ“, — დაგვაბოლა სააკაშვილმა.

აფხაზებს არ სჯერათ, რომ დემოკრატია შეუძლია მათი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა

„მომავალი წლის მარტში აფხაზეთის პარლამენტს უფლებამოსილების ვადა ეწურება და ქვეყანაში ახალი არჩევნები გაიმართება. პლებისციტები, რომელიც ბოლო დროს აფხაზეთში ჩატარებულა, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აფხაზებს არჩევნებში მონაწილეობა მობეზრდათ, რადგან მათ არ სჯერათ, რომ დემოკრატიას შეუძლია მათ ცხოვრებაზე გავლენა პირდაპირ მოახდინოს და მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს“, — დაწერა აფხაზეთის დამოუკიდებელი გამოცემა „Нужная газета“-ს მთავარმა რედაქტორმა იზიდა ჭანიამ თავის სვეტში.

მისი თქმით, პირველი ნიშანი იმისა, რომ დემოკრატიულ სისტემასთან დაკავშირებით ყველაფერი მწყობრში არ არის, მუნიციპალური არჩევნების დროს გამოჩნდა, რომლისთვის ელექტორატის მობილიზება ძალიან გართულდა.

„რამდენიმე თვის შემდეგ, „ამცაჰარამ“ რეფერენდუმის მეშვეობით პრეზიდენტის გადაყენება სცადა, თუმცა რეფერენდუმში 1%-ზე ნაკლებმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიმდინარე წლის მესამე არჩევნები, უფრო კონკრეტული დასკვნების საშუალებას იძლევა. აფხაზეთის მოქალაქეები რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობას ძალზედ სერიოზულად უდგებიან. თუმცა ძველ მონაცემს თუ შევადარებთ, ფიქრის საბაბიც დარჩება. 2011 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ორი წლისთავზე, რუსეთის სათათბიროს არჩევნებში 70 ათასამდე ამაომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც 80% ნიშნავს, წელს კი მხოლოდ 20 ათასმა, ანუ დაახლოებით 22%-მა“, — წერს ჟურნალისტი.

ჭანია დარწმუნებულია, რომ ექსპერტთა და ანალიტიკოსთა უმრავლესობა დაასკვნის, რომ რუსეთის საერთო არჩევნებში აფხაზების მონაწილეობა რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

„ამიტომ აფხაზმა პოლიტიკოსებმა საპარლამენტო არჩევნების წინ უნდა დაფიქრდნენ, თუ 22% რუსეთის არჩევნებისთვის კარგი მაჩვენებელია, იგივე პროცენტული მაჩვენებელი აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნებში იმის მანიშნებელი იქნება, რომ არჩევნები არ შედგა“, — აღნიშნავს იზიდა ჭანია.

აგვისტოში „ქართულმა ოცნებამ“ რეკლამაზე 1 495 586 ლარი დახარჯა

პარტიების ფინანსური მონიტორინგის სააგენტო 10-30 აგვისტოს პერიოდში პარტიებისა და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატების მიერ მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს. ინფორმაციიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში პარტიებისა და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატების ჯამური შემოსავალი 7 256 151 ლარია. სულ რეკლამებზე პარტიებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა 3 712 464 ლარი დახარჯეს, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ფასიანი პოლიტიკური რეკლამა 1 676 305 ლარია.



10-დან 30 აგვისტოს ჩათვლით, რეკლამაზე ყველაზე დიდი თანხა — 1 495 586 ლარი „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა. აღნიშნულ პერიოდში, პარტიის ჯამური ხარჯი 2 789 274 ლარია. პარტიის მიერ რეკლამაზე გაღებული ხარჯი 1 495 586 ლარია, აქედან, სატელევიზიო რეკლამაზე 1 119 563 ლარი დაიხარჯა.

გიორგი მღებრიშვილი ეუთოს საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

გიორგი მღებრიშვილი ეუთოს საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ეუთოს საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ალექსანდრე კელჩევსკის შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე შს მინისტრმა ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრა. გიორგი მღებრიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა სამინისტროს მზაობა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

შს მინისტრმა ეუთოს საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს მის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოცემული სპეციალური ბრძანება გააცნო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან არჩევნების დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს.

გიორგი მღებრიშვილმა ალექსანდრე კელჩევსკისთან საუბრისას შსს-სა და ცესკოს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზეც ისაუბრა. **„ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ჩვენ ხელი მოვაწერეთ ურთიერთგაგების მემორანდუმს. ასევე, განვიხილეთ თანამშრომლობის დეტალური გეგმები და მოსამზადებელი სამუშაოები. მინდა გითხრათ, რომ სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები სრულ მზადყოფნაში არიან, უზრუნველყონ სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო,“** — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

უზენაესმა სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად თემურ ტუღუში დანიშნა

უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად თემურ ტუღუში დანიშნა. ამის შესახებ სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. სადაც ასევე აღნიშნულია, რომ უზენაეს სასამართლოში გაიმართა სასამართლოს პლენუმის სხდომა, რომლის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნა.

„პლენუმის წევრები გაეცნენ წარდგენილ კანდიდატს, მიიღეს მისგან მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი, რის შემდეგაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დანიშნა თეიმურაზ ტუღუში,“ — აღნიშნულია განცხადებაში.

დიმიტრი ქუმსიშვილმა კომპანია „ჯეო-ემ-ტექსის“ ტანსაცმლის საწარმო დაათვალიერა

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარი კომპანიის „ჯეო-ემ-ტექსის“ საწარმოს ეწვია, სადაც დამზადებული პროდუქცია სრულად გადის ექსპორტზე.

დიმიტრი ქუმსიშვილმა დაათვალიერა „ჯეო-ემ-ტექსის“ თანამედროვე სტანდარტების საწარმო, სადაც დამონტაჟებულია მაღალი ხარისხის საკერავი და საქსოვი მანქანები. „ჯეო-ემ-ტექსი“ წარმატებით თანამშრომლობს წამყვან ევროპულ კომპანიებთან, მათ შორის „მონკლერთან“. კომპანია სამომავლოდ პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდასა და გაფართოებას გეგმავს.

პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი გაესაუბრა საწარმოში დასაქმებულებს და კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია დაათვალიერა. ამჟამად „ჯეო-ემ-ტექსში“ 320 ადამიანია დასაქმებული. ამასთან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა შეისწავლოს მკერავის პროფესია, რადგან კომპანია აქტიურად ახდენს კადრების მუდმივ რეჟიმში გადამზადებას და შემდგომში დასაქმებას. საწარმოში დასაქმებულთა საშუალო ასაკი 45 წელია.

პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, სწორედ ეს არის ის შედეგი, რისთვისაც იქმნებოდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. „კიდევ უფრო სასიამოვნოა ის გეგმები, რომლებიც საწარმოს გააჩნია. კერძოდ, წლის ბოლომდე „ჯეო-ემ-ტექსის“ საწარმოში 500 ადამიანი დასაქმდება,“ — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შპს „ჯეო-ემ-ტექსმა“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით ისარგებლა. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 3 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

◎ მადლიერება

ილიას ზუროსი:

მადლობა ყველას, ჩვენ ერთიანი ძალებით ვაშენებთ მომავალს

საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა გენერალურ მენეჯერთან ერთად გუშინ „ქორთიარდ მერიოტში“ პრეს-კონფერენცია გამართა. მათ მადლობა გადაუხადეს ყველა იმ გულშემატკივარს, რომელიც ნაკრებს გვერდში ედგა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო ტურში სტუმრად მონტენეგრო დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი და ევრობასკეტის საგზური დაიმსახურა.

ილიას ზუროსი: დიდი მადლობა ყველას აქ მობრძანებისათვის და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გვერდით დგომისთვის. მე მსურს მივულოცო ყველას ეს წარმატება, რასაც ერთად მივაღწიეთ, დიდი და თავდადებული შრომის შედეგად. მე დავიწყებ ფედერაციიდან ამ მადლობას. მათ პირველივე დღიდან გამომიცხადეს ნდობა და მეც მქონდა იმის ამბიცია, რაიმე კარგი გამეკეთებინა. ვამაყობ, რომ მათი გუნდის წევრი ვარ. ეს არამარტო შედეგზეა დამოკიდებული. ისინი ყოველთვის ცდილობენ ააშენონ კარგი გუნდი ასეთივე მწვრთნელთა შტაბით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დამოკიდებულია არამარტო პრეზიდენტზე, არამედ ყველაზე, ვისთან ერთადაც მთლიან გუნდს გვიწევს მუშაობა – ჩვენ ერთად მომავალს ვაშენებთ. ასე რომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო – მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან მიწევს მუშაობა. ჩვენ ერთად ვცდილობთ,, რომ ავამუშავოთ გეგმის ის ყველა საფეხური, რომელზეც პირველივე დღიდან დავიწყე ფიქრი და საუბარი.

მე დიდ მადლობას გადავუხდი ჩემს სამწვრთნელო შტაბს – განსაკუთრებით კოტე ტუღუშს და ირაკლი ხოშტარიას. ისინი მეხმარებოდნენ ბევრს და დღე და ღამე მუშაობდნენ, რომ კარგად შემესწავლა თითოეული ჩვენი მოთამაშის მენტალიტეტი. ასევე მადლობა გუნდის ყველა დანარჩენ წევრს იმისათვის, რომ ასეთ მოკლე დროში – 2 თვეში მოვახერხეთ და კარგად მოვემზადეთ ამ თამაშებისათვის. ამ 6 თამაშში ჩვენ უნდა გვეჩვენებინა საუკეთესო შედეგი, ეს კი ნამდვილად არ იყო ადვილი. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰგონია, რომ ეს არაფერია, მაგრამ ეს ძალიან რთულია, როდესაც ამ სიტუაციასთან პირისპირ აღმოჩნდები. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ გუნდის ექიმებმა ფასდაუდებელი სამუშაო გასწიეს. ჩვენს მოთამაშეებს ამ ორი თვის განმავლობაში ბევრი ტრავმები ჰქონდათ. ისინი ამაში ძალიან გვეხმარებოდნენ. მადლობა აგრეთვე გუნდის მენეჯერ პაატა ლობჟანიძეს, რომელიც გვერდით გვედგა. ხალხს შეიძლება უნდა კარგი შედეგი და არც კი იცის, თუ რამდენი ხალხი მუშაობს და რამდენი შრომა უნდა ჩაიდოს, რომ ამ კარგ შედეგს მიაღწიო. ისინი თავდაუზოგავად შრომობენ. ვლადიმერ ბოისა და პაატა ლობჟანიძე ბევრს მუშაობდნენ იმაზე, რომ თავი ყველას კომფორტულად გვეგრძნო, გადაეწყვიტათ ყველა პრობლემა, რაც მუშაობის პროცესში გვქონდა.

ყველას დიდი მადლობა, ყველა ჩვენს მოთამაშეს, რადგან სწორედ მოთამაშეები არიან ისინი, ვინც ამ ბევრი მუშაობის შედეგს მოედანზე ასახავენ. ისინი მუშაობენ ბევრს და თამაშობენ შესანიშნავად, რომ შედეგი აჩვენონ. როდესაც აქ სამუშაოდ ჩამოვედი, ბევრს ვლაპარაკობდი დაცვის შესახებ იმიტომ, რომ მჯერა, კარგი დაცვითი თამაშის წყალობით კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავიწყოთ ის ფასდაუდებელი სამუშაო, რომელიც იგორ კოკოშკოვმა გასწია ნაკრების ჩამოყალიბებაში. მან, ასე ვთქვათ, ცნობილი გახადა ქართული კალათბურთი ევროპისათვის. იმ შედეგებმა, რაც მან ევრობასკეტებზე აჩვენა, საქართველოზე, როგორც საკალათბურთო ქვეყანაზე, ყველა აალაპარაკა. წელს ჩვენ საერთო ჯამში კარგი შედეგი ვაჩვენეთ ისეთ ძლიერ ნაკრებთან, როგორიც მონტენეგროს ჰყავს, გუნდთან, რომელსაც კარგი და გამოცდილი მწვრთნელი და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ამშვენებს.

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ გვქონდა ჟინი მოგებისა. ჩვენმა მოთამაშეებმა ყველაფერი გაიღეს, რაც შეეძლოთ კარგი შედეგის დასაფიქსირებლად. მე ძალიან ვამაყობ ჩვენი მოთამაშეებით. ეხლა ისღა დაგვრჩენია, რომ მუშობა გავაგრძელოთ, რადგან პირველი მიზანი წარმატებით შევასრულეთ, რაც დასახული გვქონდა – გავედით ევრობასკეტზე. ჩვენ ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მადლობა კიდევ ერთხელ ყველას, ვინც ამ წარმატებაში პასიურად თუ აქტიურად, რაიმე ფორმით მიიღო მონაწილეობა. დიდი მადლობა გულშემატკივარს. თბილისური მატჩების ბილეთები სრულიად გაიყიდა. ეს დაუჯერებელია და ძალიან სასიამოვნო, როდესაც ამხელა მხარდაჭერას გრძნობ. ჩვენ ბედნიერები ვართ! ჩვენ აუცილებლად დავუბრუნებთ ყველა იმ დადებით ემოციას, რაც მათ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში მოგვცეს!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგები

ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. გთავაზობთ ჩვენებურთა საკლასიფიკაციო მაჩვენებლებს:

ქალები

ერთეულები. 235 (228). სოფიო შაფათავა (212), 261 (255). ეკატერინე გორგოძე (185), 464 (475). მარიამ ბოლქვაძე (68), 496 (478). სოფიო ქვაცაბაია (60), 1040 (1060). ანა შანიძე (8), 1084 (1080). ოქსანა კალაშნიკოვა (6).

წყვილები. 50 (51). ოქსანა კალაშნიკოვა (1550), სოფიო შაფათავა (459), ეკატერინე გორგოძე (270), 360 (373). სოფიო ქვაცაბაია (141), 580 (578). მარიამ ბოლქვაძე (62), 713. თათია მიქაძე (37), 1081 (898). ანა შანიძე (11), 1261. ლანა კენჭიაშვილი (3).

საქართველოს ჩოგბურთელ **ვაჟთა** ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი სამი საფეხურით დაწინაურდა და ახლა 558 ქულით 106-ე ადგილზეა. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია. 306 (306). ალექსანდრე მეტრეველი (161), 857 (858). გიორგი ცივაძე (20), 1633 (1648). გიორგი ჯავახიშვილი (2), 1748 (1757). ალექსანდრე ბაქში (1), 1748 (1757). შოთა მეფარიძე (1).

გასულ უქმეებზე ნიკოლოზ ბასილაშვილმა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში დაწყებულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 520.070 ევრო) საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე მასპინძელი უგო შოტი დაამარცხა – 6:1, 6:1. მეორე წრეში ჩვენებურს მე-7 ნომრად განთესილი ფრანგი კონსტანტ ლესტიე არ გამოუცხადდა სათამაშოდ და ბასილაშვილიც უბრძოლველად გავიდა ძირითად ბადეში, სადაც პირველ შეხვედრას დღეს გამართავს.

ლაშა დიდია

◎ დაფასება

ჯანოს გოლი ტურში საუკეთესოდ დაასახელეს

რუსეთის პრემიერლიგის მეშვიდე ტურის საუკეთესო გოლად მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი ფეხბურთელის ჯანო ანანიძის მიერ „ორენბურგის“ კარში გატანილი ბურთი დასახელდა. ცნობილი გამოცემა championat.com**-ის მიერ შედგენილ ტურის გამორჩეულ ხუთ გოლში ჯანოს შედეგრმა პირველობა არავის დაუთმო.**

სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში ანანიძის ბურთი საუკეთესოდ უკვე მეორედ აღიარეს – პირველად ეს ჩემპიონატის სასტარტო ტურში მოხდა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ 23 წლის ქართველ შემტევს მიმდინარე სეზონში მარტო რუსეთის პრემიერლიგის ეგიდით გამართულ 4 მატჩში 4 გოლი აქვს გატანილი.

გიორგი ზოთაძე

◎ კრივი

სამივე სინჯის თითო მედლით



უკრაინაში გამართულ ძმები კლიჩკოების სახელობის საერთაშორისო ტურნირში 13 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 10 წონით კატეგორიაში. საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეებმა უკრაინულ რინგზე თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით თბილისელმა ესკერხან მადიევმა (64 კგ) გამოიჩინა თავი: მან ზედიზედ დაამარცხა იაროსლავ ტარადიუკი, რომან მაზალოვი, სტანისლავ სტეპანოვი (სამივე-უკრაინა), ტონი გალსტიანი (სომხეთი) და პირველი ადგილი დაიკავა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ერთი ბრძოლის მოგება დააკლდა 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ოთარ ნავერიანს. მან სამ მეტოქეს აჯობა – ფინელ არსლან ხატაიევს, მასპინძელ ოლექსანდრ ჟელეზნიაკს, აზერბაიჯანელ მალიკ ჰასანოვს, გადამწყვეტი პაექრობა კი ბელარუს დმიტრი დაშკევიჩთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

„ბრინჯაო“ ნიკოლოზ ბეგაძემ (91კგ) დაიმსახურა: მან მეოთხედფინალში უკრაინელ ანდრეი არშუკოვს სძლია, ნახევარფინალში კი მის თანამემამულე არკადი კარცანთან დამარცხდა და მესამე ადგილზე გავიდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სხვა წევრები – შახილ ალახვერდიევი (49 კგ), გიორგი ჩარგაზია (60 კგ), გიორგი მანჯავიძე (69 კგ), სტეფანე მხითარიანი (75 კგ) და გიორგი ჭიღლაძე (+91) კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ივანა საცანის შამანური საიდუმლოებანი

შეიძლება თქვენ საამისო სახეზე ვერაფერი შეატყოთ, მაგრამ „ვერცხლის ქვეყანაში“ ბევრმა იცის, რომ მშვენიერი არგენტინელი მოდელი ივანა საცანი ძველი ინდიელი შამანების შთამომავალია და მის ძარღვებში ისეთი სისხლი ჩქეფს, რომელსაც წვდომა ჰაი ჰაი რომ ბევრ საიდუმლოებასთან აქვს.

სწორედ ივანას ფესვები იყო იმის მიზეზი, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ამ მშვენიერმა ქალბატონმა ხუმრობით განაცხადა, რომ არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ხსნა სწორედ მას ხელეწიფება და მან ისეთი შელოცვა იცის, რაც არგენტინის უპირველეს გუნდს ფინალებში მარცხებს აარიდებს.

ფინალში მარცხისგან თავის არიდების საუკეთესო გზა, სიმართლე რომ ვთქვათ, სულ მარტივია და იმაში მდგომარეობს, რომ ფინალში საერთოდ არ უნდა გახვიდე, მაგრამ ივანა საცანი ამბობს – მე სწორედ „ფინალის სენის“ მკურნალობა შემიძლიაო. საინტერესოა, ბედოვლათი ლეო მესი რას ამბობს ამაზე...

როსტომ რაჭველიშვილი

სოსო ცისკარიშვილი: უცხოელ დამკვირვებლებს წინასწარ ვუსამძიმრებ...

— არაერთგზის დაანონსებული დესტაბილიზაციის შემდეგ მმართველი გუნდი ოპოზიციას თანამშრომლობას, კერძოდ, მემორანდუმის გაფორმებას სთავაზობს, რომლითაც საარჩევნო სუბიექტები მომავალი საპარლამენტო არჩევნების ექსცესების გარეშე, დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარებაზე პასუხისმგებლობას გაიზიარებენ. თავის მხრივ ოპოზიცია ხელისუფლებას უკვე მომხდარ ინციდენტებს შეახსენებს, რომლებზეც, მისი შეფასებით, რეაგირება არ მომხდარა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო სოსო, რამდენად შესაძლებელია, მსგავსი დოკუმენტი შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილების მყარ გარანტიად იქცეს?

— ძნელად წარმოსადგენია, რაიმე ტექსტმა, თუნდაც მრავალი სუბიექტის მიერ ხელმოწერილმა, გააქროს გამოწვევები, რომლებიც დღითი დღე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება წინასაარჩევნო პერიოდში. მიუხედავად ამისა, სუბიექტი, რომელიც ასეთ დოკუმენტს ხელს არ მოაწერს, საზოგადოების მიერ შესაძლო დავიდარაბის შემოქმედად იქნება აღქმული. გარდა ამისა, ცხადია, ეს ტექსტი გადაითარგმნება და გავრცელდება შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში და მასზე ხელის არმომწერი პოლიტიკური სუბიექტი იმ ევროპელების ნდობასაც დაკარგავს, რომელთაც დღემდე თვალწინ უდგათ ის „სიამოვნება“, რომელთაც ჰგვრიდა „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ხელისუფლება. ამიტომ ამ მემორანდუმის ავტორობა რაიმე უპირატესობა არ გახლავთ. მთავარია მისი შინაარსი და ამომრჩევლების დარწმუნება იმაში, რომ თავად ეს ხელმომწერები რაიმე შფოთის სათავენი არ იქნებიან.

— გამოწვევები ახსენეთ. რას გულისხმობდით?

— ვგულისხმობ დღის წესრიგში უკვე მყარად დამკვიდრებულ და ფესვგადგმულ თემას — „მზადდება ცივილიზებული საარჩევნო პროცესისგან ძალიან შორს მდგომი აქციები“. ეს „ქართული ოცნებისთვის“ უკვე ტრადიციული ბრალდებაა, რომელიც მუდამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეძღვნება. ამომრჩეველთა დასამშვიდებლად და ასეთი ბრალდების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად „ნაციონალურ მოძრაობას“ ვურჩევდი, ყველაზე დიდი შრიფტით მოაწეროს ხელი ხსენებულ მემორანდუმს.

— და რამდენად საფუძვლიანია დესტაბილიზაციის მზადების შესახებ „ქართული ოცნების“ განცხადებები, რომელსაც მხარი შს მინისტრის შემდეგ ყოფილმა პრემიერმაც აუბა?

— მემორანდუმი თითიდან გამოწოვილი თემა არ არის. ჩვენ ისეთი მეზობლის გვერდით გვიწევს ცხოვრება, რომლის ინტერესშიც სრულიად განსხვავებული რეალობა შედის. ძნელად გამოსაცნობი არ არის, რომ კრემლის სურვილი გახლავთ 8 ოქტომბრის არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება, რაც ავტომატურად გამოიწვევს როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ, უკეთეს შემთხვევაში, დუმილს. ცხადია, რაიმე სახის ლიბერალიზაცია იქნება თუ გაწევრიანება, სულ მცირე, რამდენიმე წლით გადაიდება. ამ პირობებში საქართველოს მოსახლეობის და ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენლებისთვის, რასაკვირველია, სასურველია, რომ არჩევნების დღეს და მით უფრო არჩევნების მომდევნო დღეებში რაიმე სერიოზული შფოთი არ მოხდეს. ევროატლანტიკური სივრცე მზად არის, მხარი იმ საქართველოს დაუჭიროს, რომელსაც ძალუძს სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ნებისმიერი ის პოლიტიკური სუბიექტი ან მისი წევრი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში დაპირისპირების ხელშეწყობაში იქნება მხილებული, მიეკუთვნება კრემლის ინტერესის გამტარებლებს. ამდენად, მემორანდუმი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, შესაძლოა, გამოდგეს ლაკმუსად, რომელიც გაამჟღავნებს ახალი დავიდარაბის და ცემა-ტყეპის განმავითარებლებს 8 ოქტომბრიდან შემდგომი დღეების ჩათვლით. შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხი 11 ოქტომბრისთვის გადადო. როგორც ჩანს, უსაფუძვლო რომ არ ყოფილიყო ასეთი შეკრება, კანდიდატთა რიცხვში ევროკავშირმა უცებ წარმოაჩინა კოსოვო, რომელზეც აქამდე აქტიური საუბარი არ გვსმენია.

— თქვენი აზრით, ეს რას უკავშირდება?

— რაიმე კონკრეტული მისამართის მინიშნება არ იქნებოდა სწორი, მაგრამ განვლილი წლების გამოცდილება გვაიძულებს, ვურჩიოთ საარჩევნო პროცესში ჩართულ მშვიდობისმოყვარეებს, ნეიტრალური ინფორმაცია სრულად მიაწოდონ ევროპის „სახალხო პარტიის“ აქტივისტებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს ისეთ გაუგებრობებს, რომლის მოწმენიც წლების განმავლობაში ვიყავით.

— ზოგადად არჩევნები რომ დემოკრატიული პროცესია, გასაგებია, მაგრამ ფიქრობთ, რომ ახლა ქვეყანა განსაკუთრებულ ფაზაში შედის და ეს არჩევნები თავისი მნიშვნელობით დანარჩენს არ ჰგავს?

— დიახ. 8 ოქტომბერი არ არის რიგითი არჩევნების თარიღი. ეს არის განსაკუთრებული თარიღი, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინსვლას ან უკუსვლას წარმოაჩენს.

— რა თვალსაზრისით?

— ჩვენი ქვეყნის წინსვლის პერსპექტივა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, უმრავლესობის მიერ არაერთგზის მხარდაჭერილი, უკუსვლის მხარდამჭერი კი შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უკიდეგანოდ ენატრება წარსული.

— არც თუ მომხიბლველი წარსული...

— ზოგს არცთუ სწორი წარმოდგენა აქვს იმ წარსულზე, რომელსაც ელტვის და მცდარად თვლის, რომ თუ მოსკოვი გაგვიღიმებს, საქართველოში უმუშევრობა გაქრება, ან თუ საქართველოს განვითარებას „ნაციონალური მოძრაობა“ მიჰყოფს ხელს, ისინი ცოცხებს არადანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ყველაფერი ეს უკვე განსჯილია, არგუმენტები უკუსვლისა სრულად არის წარმოჩენილი, ისევე, როგორც ის, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის მავნებლობა. ვნახოთ, რა შინაარსს გამოიტანენ ყველა იმ პროცესიდან, რომელსაც ვიხილავთ, ჩვენი ევროპელი პარტნიორები და წინასწარ ვუსამძიმრებ საქართველოს კეთილისმყოფელთა მიერ დაკომპლექტებულ იმ მრავალრიცხოვან გუნდს, რომელიც თბილისში დამკვირვებლების სტატუსით ჩამოვიდა. მათ უთუოდ ისეთი წინასაარჩევნო პოლიტიკის და არჩევნების ხილვა და შეფასება მოუწევთ, რომელიც მათთვის უცხოა. დაბნეულობა ცხადია, იქნება, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ინტერესებში არ არის, მაგრამ თითოეულმა ამომრჩეველმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ პირადი პატრონის დასამკვიდრებლად კი არ ვაძლევთ ხმას ამა თუ იმ პარტიას, არამედ ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

— მძიმე საარჩევნო პროცესს პროგნოზირებთ, ბატონო სოსო?

— ძალიან გამიხარდება, თუ ყველაფერი საწინააღმდეგოდ მოხდება და ჩვენ მშვიდი არჩევნები გვექნება, თუ არავინ დაძრავს კრიტიკის შემცველ კრინტს ამ არჩევნების შეფასებისას. მაგრამ თუ თქვენ ამაზე სანაძლეოს დადებთ, შეესაძლოა, საშვილთაშვილოდ გაკოტრდეთ.

ახალი ამბების საინფორმაციო „აქცენტი“

საქართველო: დავიწყებული და მიტოვებული ადამიანები

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცდახუთი წლის შემდეგ საქართველოს ბევრი მოქალაქე, სამუშაოსა და ლუკმაპურის ძიებაში, თავს მიტოვებულ შენობებს აფარებს. ეს ყველაზე მეტად შესამჩნევია აფხაზეთიდან — საქართველოს რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში. აფხაზეთში 1992-1993 წლებში მომხდარი კონფლიქტის გამო თითქმის მეოთხედი მილიონი ადამიანი უსახლკარო და ლტოლვილი გახდა.

დაახლოებით 400-მდე ადამიანი ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში საბჭოთა კავშირის დროინდელ მიტოვებულ სამხედრო ჰოსპიტალში, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მდებარეობს. ფოტოგრაფმა ჯეიკობ ბორდენმა ობიექტივში დაიჭირა მათი მძიმე ყოფის მომენტები — ადამიანებისა, რომელთა ბედი საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს.

მაია დიაური 45 წლისაა, ყოფილი საავადმყოფოს ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობს. საერთოდ, აქ ყველას აქვს პატარა გაზის ბალონი საკვების მოსამზადებლად, აქვთ აგრეთვე შეშის ღუმელი, ცივ ზამთარში გასათბობად, უმინო ფანჯრებში გარეთ გაყოფილი საკვამლე მილით. მათ, ვისაც არც გათბობა და არც სანიტარიული კვანძი არა აქვს, ერთმანეთის „კომფორტით“ სარგებლობენ. აქ კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების გრძნობა ძლიერია: **„ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, ერთმანეთში ვიყოფთ“,** — ამბობს ერთ-ერთი მცხოვრები.

„მიტოვებული საავადმყოფოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ირგვლივ უამრავ ერთმანეთში გადახლართულ ელექტროსადენებს, კანალიზაციისა თუ წყლის მილებს ვხედავთ, მეფობს ანტისანიტარია, უვარგისი სანტექნიკის გამო კედლებიდან და ჭერიდან ფეკალური სითხე ჟონავს. 2015 წელს ერთ-ერთ ოთახში, უწესივრო ელექტროსადენის გამო, ხანძარი გაჩნდა, რამაც მცირეწლოვანი ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა“ — ნათქვამია სტატიაში.

საერთოდ, შენობაში 80-მდე ბავშვი ცხოვრობს, ისინი უმეტესად 6 წელზე ნაკლები ასაკისანი არიან. ბავშვებს მშობლებთან და თავიანთ და-ძმებთან ერთად ერთ ოთახში სძინავთ — მაგალითად, ნიკოლოზ ბერიაშვილს. შენობაში მცხოვრები ბავშვებიდან ბევრი სკოლაში არ სწავლობს და თუ სწავლობენ, გაკვეთილებს აცდენენ — სკოლაში სიარულს სასარგებლო საქმედ არ მიიჩნევენ. სკოლაში შედარებით უფრო მოზრდილებიც არ დადიან, ისინი უმცროს და-ძმებზე ზრუნავენ.

ყოფილი საავადმყოფოს ბინადრებიდან ბევრი ყოველთვიურ სოციალურ დახმარებას იღებს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ მიღებულ 300 ლარით (97 გირვანქა სტერლინგით) უბრალო ბინა დაიქირაონ, ან სამსახური იპოვონ, ისინი ამ ფულს მხოლოდ საკვებისთვის იყენებენ. მათ ეშინიათ, რომ თუ ოფიციალურად იმუშავებენ, ამ მუქთა დახმარებას დაკარგავენ.

აი, შენობის კედელთან ძველი, გაძარცული საბჭოთა ავტომობილი დგას. მის დანახვაზე ზოგიერთი ძველი დიდების პერიოდს — კომუნისტურ ეპოქას ნოსტალგიით იხსენებს. ისინი ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს მათ სახლიც ჰქონდათ, სამუშაოც, სასმელ-საჭმელიც, ირგვლივ სტაბილური სიტუაცია იყო. დღეს ბევრი გაბოროტებულია და გრძნობენ, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე საქართველოში ისინი არავის არ სჭირდება.

მათიკო ფირცხალავა 46 წლისაა, თავის ორ შვილთან ოროთახიან ბლოკში ცხოვრობს. შვილები სემინარიაში სწავლობენ. აქ ბევრი ქალია, რომლებიც ან მარტონი არიან, ან შვილებთან ერთად. ბევრი დაქვრივებულია — მათ ქმრები გარდაეცვალათ და ლუკმაპურისა და ნორმალური საარსებო პირობების გარეშე აღმოჩნდენენ. რასაკვირველია, ისინი საკუთარი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მეტნაკლებად ცდილობენ: ზოგმა შპალერი გააკრა კედლებზე, ზოგს აკვარიუმიც კი აქვს...

აი, კიდევ რამდენიმე იმ 150 ოჯახიდან, რომლებმაც თავშესაფარი შენობაში იპოვეს: **შვიდი წლის მარიამ გაბისონია ყოფილი საავადმყოფოს დერეფანში თავის დასთან ერთად სათამაშოებით ერთობა; ორმოცდაორი წლის ია ოჩიაური, ორი შვილის დედა, მეუღლესთან ერთად თავს შემთხვევითი სამუშაოებით ირჩენს...**

მათიკო ფირცხალავას თქმით, იგი ქართველი საზოგადოების თანადგომას ვერ გრძნობს. მის აზრს სხვებიც ეთანხმებიან: **ისინი თანამედროვე საზოგადოებაში ადგილის გარეშე დარჩნენ, მათ თვალწინ საქართველოს წარსული დაიმსხვრა, მომავალს ვერ ხედავენ.**

„BBC News“ (დიდი ბრიტანეთი)

დიდი მერაბ ბერძენიშვილი

გარდაიცვალა მერაბ ბერძენიშვილი, ჩვენგან წავიდა უდიდესი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შეიქმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში ომში გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო, ავსტრიაში ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ პრაბანგში.



მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“, ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმიდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა.

განსაკუთრებით მძიმეა ბატონი მერაბის გარდაცვალება ჩვენთვის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმისა და თანამშრომლებისათვის, იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში იყო ამ ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი. კულტურის ფონდი ახორციელებდა, როგორც საქველმოქმედო, ისე აღმშენებლობით საქმიანობას. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“. ბატონ მერაბს იმედი ქონდა, რომ „მუზა“ გახდებოდა საქართველოში კულტურული ღონისძიებების ჩატარების ფლაგმანი, მისი მეშვეობით მოხდებოდა ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების უცხოელებისათვის გაცნობა და შეყვარება. ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით მაისის თვეში ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში, სადაც მოწვეული იყვნენ 14 ქვეყნის მხატვრები და მოქანდაკეები. ისინი გაეცნენ ამ მიმართულებით საქართველოს მიღწევებს, განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ბატონი მერაბის შემოქმედების სიდიადით და მრავალფეროვნებით.

ბატონი მერაბის სახით საქართველომ დაკარგა, არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი მერაბი ფრიად შეწუხებული იყო ქუთაისში გამარჯვების მემორიალის დანგრევით და ჩვენი დიდი მეფის დავით ამაშენებლის ქალაქიდან გაძევებით, თუმცა იმედი ჰქონდა ქართველი ხალხის გონიერების და ჩვენი წმინდანი მეფის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნების.

იმედია, მისი ეს დიდი სურვილი გარდაცვალების მერე მაინც აღსრულდება, გაიხარებს მისი სული და ჩვენც ოდნავ მაინც შეგვიმსუბუქებს იმ ტკივილს, რაც მისმა გარდაცვალებამ მოგვაყენა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები და ფონდის თანამშრომლები ღრმად ვართ დამწუხრებულები ბატონი მერაბის გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ქ-ნ კირა მიქელაძეს, მის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი და თანამშრომლები.



ჩვენმა ქვეყნამ, მხატვართა საზოგადოებამ დაკარგა უდიდესი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოსა და რუსეთის სახალხო მხატვარი, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო, შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი მერაბ ბერძენიშვილი.

დაიბადა 1929 წლის 10 ივნისს თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი ნიკოლოზ კანდელაკის კლასით. იმავე წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში — მონუმენტურ ქანდაკებაში, ფერწერაში, გრაფიკაში, თეატრალური პლაკატისა თუ აფიშის სფეროში. სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საერთაშორისო და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებზე: „დაზგური ქანდაკება“, მოსკოვში (1985 წ.), „საქართველოს სახვითი ხელოვნება“, მოსკოვში (1986 წ.), „მონუმენტური ქანდაკება კიევში (1989 წ.) და სხვა.

მისი შექმნილი ძეგლები, ბიუსტები, სკულპტურული კომპოზიციები, მონუმენტური ქანდაკებები დადგმულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

აღსანიშანვია ბატონ მერაბის ძირითადი ნამუშევრები: ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი (1958 წ.), დავით გურამიშვილის მონუმენტი თბილისში (1963 წ.), შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში (1966 წ.), „მედეა“, საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში (1970 წ.), გიორგი სააკაძის მონუმენტი კასპსა (1971 წ.) და თბილისში (1987 წ.), „მუზა“ თბილისში, ზაქარია ფალიაშვილი (თბილისში 1972 წ), ლაოსის მეფის სივან-ვოგის ძეგლი, ვონტიანი — პრაბანგში, „კიდევაც დაიზრდებიან“... მარნეულში (1975 წ.), ჯარისკაცის მამა“ გურჯაანში, „სიცოცხლე“, სიმბოლური ქანდაკება აშშ-ში, მიჩიგანის შტატში (1986 წ), დიდუბის მემორიალი ქუთაისში (982 წ.), „ნოდარ დუმბაძის მემორიალი“ თბილისში მზიურის პარკში, „ვაჟა-ფშაველას“ ძეგლის პროექტი (1964 წ.), დავით აღმაშენებლის მონუმენტი თბილისში (1997 წ.), დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტურული მემორიალი (1991 წ.), სერგო ზაქარიაძის საფლავი მთაწმინდაზე; დაზგური ქანდაკებები, „ქართველი ქალი“, „შიშველი ქალის ტორსი“. „ლადო ქოქიაშვილის — პორტრეტი, „გურული“, „ახმეტელი“, „ნოდარ დუმბაძე“, „ტიციან ტაბიძე“, „დოდო აბაშიძე“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვ. ფერწერული ნამუშევრები. „ძმის პორტრეტი“, „დედობა“, „გურია“, „ბათუმი“, „ფიროსმანის სიკვდილი“, „კახელი“, ფრესკა მხატვრის სახელოსნოს სასტუმრო ოთახისთვის; მოგზაურობის შედეგად შექმნილი ნაწარმოებები (სერიები): „მოგზაურობა იტალიაში“, „პარიზული ჩანახატები“, „ლაოსური ჩანახატები“, „მოგზაურობა ესპანეთში“, „მოგზაურობა ნორვეგიაში“

ერის სიამაყე

წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკის, თეატრალური პლაკატისა და აფიშის სფეროში: თეატრალური ესკიზები რ. ლაღიძისა და გ. ნახუცრიშვილის კომედიისათვის „კომბლე“, კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისათვის „რიჩარდ III“, აფიშა; აფიშები საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლისა და საქართველოს სახელმწიფო ხალხური ცეკვის დამსახურებული (ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილის სახელობის) ანსამბლებისათვის.

ბ-ნ მერაბის მიერ ილუსტრირებულია არა ერთი საბავშვო წიგნი, მათ შორის ქართული ხალხური ზღაპრები: „ადიხანჯალა“, „ბროწეულის გოგონა“ და სხვ.

ბ-ნი მერაბი მრავალი სიმპოზიუმის მონაწილეა: „ლუბლიანას ქანდაკების ლანდშაფტის საერთაშორისო სიმპოზიუმი“, „ხელოვნების სინთეზის კულტურა და არქიტექტურა“, ინგლისში, მანჩესტერში. იგი იყო ქანდაკების თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში“ ორგანიზატორი.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ბ-ნი მერაბი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მის მიერ აღზრდილია არა ერთი თაობა ქართველი მხატვრებისა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას.

სახვით ხელოვნებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ბატონ მერაბს მინიჭებული აქვს საქართველოსა და რუსეთის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება. იყო რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტი. 1983 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონი მერაბი გახლდათ უმაღლესი საბჭოს სამგზის მოწვევის დეპუტატი; არჩეული იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ (1960-70 წ.წ.). მიღებული აქვს მრავალი ჯილდო: 2001 წელს გადაეცა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის ფ. ნანსენის სამახსოვრო მედალი; 2002 წელს — საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ჯილდო — „XX საუკუნის მიღწევებისათვის“.

ბ-ნ მერაბის ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში, ტ. II, „ვინ ვინა ქართულ სახვით ხელოვნებაში — 2000“, ენციკლოპედიაში — „საქართველო“ ტ. I, სსრკ ბიობიბლიოგრაფიულ ლექსიკონში — „სსრკ ხალხთა მხატვრები“, ტ. I. მისი შემოქმედების შესახებ გამოცემულია ალბომები ხელოვნებათმცოდნეების ი. ლორთქიფანიძისა და ნ. ვორონინას ავტორობით.

საქართველოს მხატვართა კავშირი და მხატვართა მრავალრიცხოვანი საზოგადოება მადლიერებითა და მოწიწებით თავს ხრის ბატონი მერაბის წინაშე, რომელიც ყოველთვის მზად იყო მათთვის უანგაროდ გაეწია დახმარება მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ სამხატვრო გამოფენების ორგანიზაციისა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარების საქმეში.

წავიდა ჩვენგან ერის სიამაყე, ღირსეული ქართველი, ბრწყინვალე შემოქმედი და მოღვაწე და დაგვიტოვა დიდი სევდა, ამასთანავე უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც მაგალითად დარჩებათ მომავალ თაობებს.

საქართველოს მხატვართა კავშირი



„ქართველი მიქელანჯელო“

87 წლის ასაკში გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკე, მსოფლიოში ფართოდ ცნობილი და აღიარებული ხელოვანი — მერაბ ბერძენიშვილი, ადამიანი, რომლის დიდმა ნიჭიერებამ, ზოგადმა კულტურამ, გასაოცარმა მხატვრულმა ერუდიციამ მის პლასტიკურ ქმნილებებს მსოფლიო ესთეტიკურ კონტექსტში თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა, მაგრამ მიუჩინა ისე, რომ მათი შემოქმედი ყოველთვის ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს, რადგან იგი ორგანულად იყო დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან, ქართველ ხალხთან, მის ფსიქოლოგიასა და მენტალიტეტთან, იმ უნიკალურ კულტურასთან, რომლის თვითცნობიერებასაც თავად ეს კულტურა წარმოადგენს. მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტური ქანდაკებების ბუნების წვდომამ, იმ როლის მეცნიერულმა ანალიზმა, რომელსაც მოქანდაკის შემოქმედება ხელოვნების ამ დარგის ეროვნულსა და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში თამაშობს, ათქმევინა ცნობილ კულტუროლოგსა და ხელოვნებათმცოდნეს მ. ს. კაგანს: „მზად ვარ მერაბ ბერძენიშვილს ვუწოდო „ქართველი მიქელანჯელო“.

ყოველთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც სამყაროს ასეთი ადამიანები უჩნდებიან დროდადრო. განსაკუთრებით ათმაგდება ღვთის წყალობა, თუ ისინი მცირე ერის წიაღში აღმოცენდებიან და თუ ეს ერი მზად არის გაუგოს თავის დიდ შვილს, რომელიც მისგან მხოლოდ გაგებას ითხოვს და სხვას არაფერს. მაგრამ ხდება იმგვარადაც, როგორც წარსულშიც ბევრჯერ მომხდარა: ისეთ ხალხს შეუფასებია ხოლმე მხატვრული ძეგლი, რომელიც საერთოდ ვერ ერკვევა ხელოვნებაში (ჩინოვნიკებს ყოველ დროებაში უჭირდათ ხელოვნების ნაწარმოების გაგება). „გამარჯვების მემორიალის“ ბარბაროსულმა განადგურებამ ქუთაისში თავზარი დასცა მთელ საქართველოს, მაგრამ ხომ იყვნენ ისეთებიც (შემსრულებლები), რომელთა შესახებ მოქანდაკემ გულისწყვეტით თქვა, ქართველებს ვერ გავაგებინე, რას წარმოადგენდა ეს ძეგლიო. როცა რუსეთიდან სთხოვეს, „პოკლონნაია გორაზე“ დავდგამთ თქვენს მემორიალსო, არავის გამოხმაურებია, ინტერვიუში კი განაცხადა, რუსეთი ახლა ნაკლებად მაინტერესებს, მთავარი ისაა, რომ ხელისუფლება ხელოვნების ნაწარმოებს, ძეგლს, ამჯერადაც ისე მოექცა, როგორც მაშინ, როცა ავტორის გარეშე დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანაო. იმ სულისა და სივრცის შემკვრელ გარემოში დიდი იყო უბრალო ხალხის თანადგომა და სიყვარული თავისი ღვიძლი შვილისადმი, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მათ პატარა სამშობლოს. იმ ბარბაროსულმა ფაქტებმა, ალბათ, გარკვეულწილად განაპირობეს კიდეც აუტანელი რეჟიმის შეცვლა.

მერაბ ბერძენიშვილის, როგორც შემოქმედის კრედო ნათლად ჩანს მის სიტყვებში: **„მოქანდაკის მეგზური თავისუფლებაა. იგი შემოქმედს უკიდეგანო სივრცეს სთავაზობს, რომლის დასაპყრობად უზომო სიყვარული და თავდადებული შრომაა საჭირო, შრომა, რომელიც განამტკიცებს ნიჭიერებას და მას ჭეშმარიტებასთან აახლოებს“**. დიდ მხატვარს ამ სიტყვებისთვის არ უღალატია. უმნიშვნელოვანესი კი მაინც ის არის, რომ ბატონი მერაბის ყოველ ქმნილებაში უშუალოდ და ძლიერად არის ხორცშესხმული ახალი და ზოგადსაინტერესო შინაარსი. თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მას არასოდეს მიუმართავს პოლიტიკურად აქტუალური თემების სპეკულაციისათვის და არც ნებიერი და ფუჭი ფორმათშემოქმედებით გატაცებულა, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: **„ხელოვნება, რომელიც ცხოვრებაში ცარიელი, უსულგულო მხიარულებითა და ჟივილ-ხივილით შეიჭრება, ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ დაუტოვებს კაცობრიობას“**.

ყველაფერი, რაც ამ ხელოვანს უკეთებია, დიდი და მნიშვნელოვანია: გარდა მონუმენტური ქანდაკებებისა, საქართველოსა და მის გარეთ (რუსეთი, ამერიკა, ლაოსი), მას შესრულებული აქვს მრავალი ნაწარმოები ფერწერის, გრაფიკის, პლაკატისა და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში, იგი ავტორია არაჩვეულებრივად საინტერესო წიგნებისა და წერილებისა ჟურნალ-გაზეთებში. მისი პროზა ჭეშმარიტად მაღალი თანამედროვე პროზაა. თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ბატონი მერაბი ახალგაზრდობის აღზრდას, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. მისი მოწაფეები თავს ბედნიერად თვლიან, რომ ჰყავდათ ასეთი მასწავლებელი — უმაღლესი დონის პედაგოგი და ადამიანი, რომელიც შემკული იყო მაღალი ზნეობრივი თვისებებითა და პატრიოტული სულისკვეთებით. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, შეუვალი პრინციპულობა, რაც ყოველთვის მკაფიოდ ჩანდა მის გამოსვლებში პრესასა და ტელევიზიაში, ხელოვნების შესახებ დაწერილ მის წიგნებში. ყოველივე ეს საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს იწვევდა თანამემამულეთა გულში, რასაც დრო ვერ გააფერმკრთალებს. ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, სხვა დიდ ერისშვილებთან ერთად, ყოველთვის იქნება ქართველი კაცის სიამაყის, რაინდობის, პირადული ღირსების ერთ-ერთი მაგალითი და საფუძველიც იქნება საქართველოს „თანამდევი უკვდავი სული“.

მერაბ ბერძენიშვილი დაიბადა თბილისში 1929 წლის 10 ივნისს. მან 1949წ. დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. იგი იყო გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფე, რომელსაც თავის მთავარ მასწავლებლად მიიჩნევდა. მისი სადიპლომო ნამუშევარია შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი, რომლის მხატვრული ღირსებაც ისეთი მნიშვნელობის გამოდგა, რომ ათი წლის შემდეგ ძეგლი მოსკოვში აღიმართა (1960წ.). გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა აკადემიის დამთავრებისთანავე ჩაერთო რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში და მალევე გახდა ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე.

იგი ინტენსიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურსა თუ საკავშირო გამოფენებში. მისი ნაწარმოებები მოგზაურობდნენ საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ბრაზილიაში, რუმინეთში, ჩეხეთში, პოლონეთსა და კალიფორნიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღსანიშნავია, რომ ბატონი მერაბის დამოუკიდებელი მუშაობის პირველი წლები თეატრს დაუკავშირდა — მან შექმნა რამდენიმე შთამბეჭდავი თეატრალური პლაკატი, რომელზეც გამოხატული პერსონაჟების სილუეტური სახეები ძალზე პლასტიკური და ნოვატორული იყო. ამავე პერიოდში იქმნება მისი ფსიქოლოგიური და პლასტიკის თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული პორტრეტული ბიუსტები, მაგრამ ხელოვანს მაინც მონუმენტური ქანდაკება იზიდავს, იქმნება ძეგლები ვახტანგ გორგასლის, დავით გურამიშვილის, ძეგლთა პროექტები ვაჟა-ფშაველასი და შოთა რუსთაველის, 1971წ. დედაქალაქში, ფილარმონიის შენობასთან დაიდგა „მუზა“ — თბილისელების საყვარელი ქანდაკება, რომელშიც გამჟღავნებულია ქალური მოხდენილობა, სინაზე, სულიერი ლირიზმი და სხეულის მღერადობა. ამავე წელს ქალაქ კასპში აღიმართა გიორგი სააკაძის გრანდიოზული ცხენოსანი ფიგურა, აგრეთვე ბიჭვინთაში, ზღვის პირას დაიდგა რვამეტრიანი ქანდაკება „მედეა“; 1972 წ. გამოძერწილ იქნა ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი, ხოლო 1975 წელს, მარნეულის განაპირას, თბილისის ახლოს ბერძენიშვილმა აღმართა თორმეტმეტრიანი დედის ფიგურა ორი ვაჟითურთ და ქანდაკებას უწოდა „კიდევაც დაიზრდებიან“. 1978წ. გურჯაანში დაიდგა ასევე გრანდიოზული, თორმეტმეტრიანი ფიგურა — „ჯარისკაცის მამა“; ქანდაკებისა და არქიტექტურის უნიკალური შეხამებით გამორჩეული ზემოხსენებული მემორიალი შეიქმნა 1982წ., ხოლო 1986წ. — დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილი ნამუშევარი. მოქანდაკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ცხენზე ამხედრებული დავით აღმაშენებლის ცხრამეტრიანი ფიგურა, რომელმაც ქართველების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. მხატვრული თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტორის გალერეასა და ეზო-ბაღში მოთავსებული ნამუშევრები: „შოთა რუსთაველი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „ქეთევან წამებული“, „ვაჟა-ფშაველა“, „პუშკინი“ და სხვ. აგრეთვე, მისი თანამედროვეთა სკულპტურული პორტრეტები: „ნონა გაფრინდაშვილი“, „დინარა ნოდია“, „ლადო ქოქიაშვილი“, „ნათია ამირეჯიბი“, „ნოდარ დუმბაძე“, „დოდო აბაშიძე“ და სხვ.

მერაბ ბერძენიშვილი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო მხატვრის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებები, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდო. იგი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად. მისი ხელოვნება გაშუქებულია საქართველოსა და რუსეთში გამოცემულ არაერთ მონოგრაფიასა და ალბომში, მათ შორის 2006 წელს გამოცემულ მ. ს. კაგანის შესანიშნავ წიგნში.

მერაბ ბერძენიშვილი თავისი პროფესიის მრავალ საიდუმლოს ფლობდა, მათ შორის იმ საიდუმლოსაც, თუ როგორ გამოეხატა თავად ეროვნულად თვითმყოფადს ეროვნულიცა და ზოგადკაცობრიულიც ერთდროულად. ეს ეხებოდა ადამიანურ ვნებებს, ხასიათებს, ქცევებს, მხატვრულ ნაწარმოებებს. შემოქმედების გამოკვეთილად ეროვნული ხასიათის მიუხედავად, იგი ამას ადვილად, ორგანულად ახერხებდა.

„ეროვნულის“ ცნება, — წერდა მოქანდაკე, **ბევრ ადამიანში ირონიას აღძრავს. ეს იმ ადამიანების კატეგორიაა, რომელთა „მეშვეობითაც“ ირგვლივ მიმბაძველობა მოზღვავდა. დღეს მთელი პლანეტა უნისონში მღერის, ყველგან უღიმღამო, უსახური ხელოვნებაა გაფეტიშებული, განსაკუთრებით კი — ჩვენთან“**. ამ სიტყვებით ავტორი გლობალიზმისა და ანტიგლობალიზმის კონფლიქტის პრობლემასაც შეეხო და მისი ზნეობრივ-ესთეტიკური ასპექტის მიმართ საკუთარი მიმართებაც გამოავლინა.

დიდი მოქანდაკის ძეგლთა განლაგება ქალაქების მოედნებსა და ქუჩებში ან მემორიალური კომპოზიციებისა — ლანდშაფტურ გარემოში ამ ნამუშევრებს აახლოებს მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფასთან, სიხარულსა და იმედს სძენს მათ, რადგან მათში ხედავენ თანამედროვეობის კავშირს წარსულთან და არა მათ ურთიერთდაპირისპირებას, მათი მეშვეობით ნათლად იაზრებენ თაობათა შემდგომადობასა და მემკვიდრეობითობას. 2003წ. მერაბ ბერძენიშვილმა ყალყზე შემდგარი ცხენი გამოძერწა, მას „საქართველო ელის მხედარს“ დაარქვა და ამით თავისი სამშობლოს მოლოდინი გამოხატა, რომელიც მთელი კაცობრიობის ინტერესებსაც უპასუხებდა და ავტორის გულისთქმასაც.

სამშობლოსა და ზოგადად ადამიანის სიყვარულით შთაგონებული დიდი შემოქმედი მერაბ ბერძენიშვილი თავისი მდიდარი და მრავალმხრივი მხატვრული მემკვიდრეობის გამო პირნათელი და ვალმოხდილი მიდის ამ ქვეყნიდან, მას ცრემლით აცილებს მთელი საქართველო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

დაგვიანებული ბოდიში ბატონ მერაბ ბერძენიშვილს

ბატონო მერაბ! მე, ჭეშმარიტი ქრისტიანი, ეჭვგარეშე ვთვლი, რომ მიუხედავად გარდაცვალებისა, ორმოცი დღე, ვიდრე ქრისტე ღმერთი სამოთხეში შეგიძღვებოდეთ, რასაც თქვენი ამქვეყნიური ცხოვრებით ნამდვილად იმსახურებთ, თქვენი სული ქართველ ხალხთან რჩება და ალბათ სიამაყით უსმენ იმ დიდ გლოვის ზარს, რასაც ერი განიცდის თქვენი გარდაცვალების გამო.

ვიცი რა ქუთაისელთა განწყობა თქვენი პიროვნებისადმი, თავს ნებას ვაძლევ მათი და პირადად ჩემი სახელით შევუერთდეთ ერის გლოვას,იმავე დროს თქვენი ხსოვნის წინაშე ვიხდით დაგვიანებულ ბოდიშს იმის გამო, რომ ვერ შევძელით განადგურებისაგან გვეხსნა ქუთაისში დადგმული თქვენი ქმნილება „დიდების მემორიალი“.

ქუთაისელთა დღევანდელი განწყობა მაძლევს ოცნების უფლებას, ვიფიქრო, რომ ქუთაისელები გამონახავენ შინაგან ძალებს აღნიშნული ძეგლის აღსადგენად.

როგორც ქრისტიანი, სიკვდილამდე ვილოცებ, რომ თქვენი სული მარადიულ სასუფეველში დამკვიდრდეს.

ღრმა მწუხარებით, სულიერი მეგობარი
ალეკო ძოწენიძე.

ხსოვნა

იური მეიშვილი

ქართულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ინჟინერი და მკვლევარი, ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილი **იური მეიშვილი**, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლე სამშობლოსა და ხალხის სამსახურს მოახმარა.

იური მეიშვილი დაიბადა 1933 წელს ქ. სამტრედიაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და მიენიჭა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრის კვალიფიკაცია. წარმატებული კურსდამთავრებული სამუშაოდ უკრაინაში, დონეცკის ოლქში გაანაწილეს.

უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქ. თბილისის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და სახელმწიფო უწყებაში. ყველგან, სადაც კი იგი მოღვაწეობდა, თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა.

მან როგორც ინჟინერმა შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია ახლად ჩამოყალიბებულ ქარხანა „ელექტროიზოლიტში“, სადაც ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო შემდგომ ამავე ქარხნის დირექტორად დაწინაურდა.

1975 წელს იური მეიშვილი გადაიყვანეს თბილისის ელექტროშედუღებითი მოწყობილობების ქარხნისა და ქარხანასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალურ დირექტორად.

იური მეიშვილის, ინჟინრისა და საწარმოს ხელმძღვანელის შრომითი ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, იმდენად, რამდენადაც ეს საწარმო გამორჩეული იყო თავისი მეცნიერულტევადი პროდუქციით, მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-ტექნიკური და სამეცნიერო პერსონალით, რამაც განაპირობა ქარხნის წარმატება.

1980 წელს საკავშირო და რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებით თბილისში შეიქმნა თავდაცვის მრეწველობის საწარმო, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ქარხანა და მის დირექტორად იური მეიშვილი დაინიშნა. მოგვიანებით კი იგი ამ ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბებულ საწარმოო გაერთიანება „ორიონის“ გენერალურ დირექტორად დააწინაურეს.

1988 წელს იური მეიშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის მაღალი წოდება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. იური მეიშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ასევე მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები და სიგელები.

1991 წლიდან იური მეიშვილი საქართველოს მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსია, შემდეგ კი დაინიშნა მინისტრის პირველ მოადგილედ.

2010 წლიდან გარდაცვალებამდე იური მეიშვილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობდა.

იური მეიშვილის სამეცნიერო-საინჟინრო ავტორიტეტზე მეტყველებს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად მისი არჩევა. სამრეწველო დარგის თვალსაჩინო მოღვაწე, ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი იური მეიშვილი მრავალმხრივ საინტერესო და ავტორიტეტული პიროვნება იყო. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოს მრეწველობის განვითარების საქმეში.

სახელოვანი ერისკაცის იური მეიშვილის ხსოვნას დიდხანს შეინახავს მადლიერი შთამომავალი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

სანთელი

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავისი ახლო მეგობრის, საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკის, სახალხო მხატვრის

მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ირაკლი ჟორდანია ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე ხელოვანი, თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკე

მერაბ ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე. ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი ქართველი მოქანდაკე და ეროვნული მოღვაწე, ბატონი

მერაბ ბერძენიშვილი

სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.

დოდო შანშიაშვილი, ნესტან, ნინო ციციშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს სახელგანთქმული ქართველი ხელოვანის, მსოფლიოში აღიარებული მოქანდაკის, ფერმწერისა და გრაფიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, სასიქადულო მამულიშვილის

მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მეუღლეს, უსათნოეს ქალბატონს კირა მიქელაძეს, ახლობლებს, ნათესავებს და სამეგობროს.

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის, კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის ასოციაცია იუწყება პროფესორ

მარინე ჯიბლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი

თინათინ ქურდაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დები ნელი, ეთერ გვილავები, დისშვილები გიორგი, ქეთევან, თამარ ჯოხთაბერიძეები, მანანა ხოჭავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა გვილავა-ხურსიძე

პანაშვიდი 21 IX, 17 სთ. გამოსვენება 22 IX, 14 საათზე, მისამართი: ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი. კორპუსი 5. მეორე სადარბაზო.

კახეთში უკვე 50 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა

20 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში რთველის პროცესში გადამუშავდა 50 ათასი ტონა ყურძენი. აქედან 23,4 ათასი ტონა რქაწითელი, 21,8 ათასი ტონა საფერავი, 2 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად კახეთის რეგიონის მევენახეებმა შემოსავლების სახით 43,2 მლნ-მდე ლარი მიიღეს, — აცნობეს მედიანიუსს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

ქართულ ციტრუსს რუსულ ბაზარზე მეტი შანსი უჩნდება

ქართულ ციტრუსს რუსულ ბაზარზე მეტი შანსი უჩნდება. როგორც ცნობილია, რუსეთმა ეგვიპტიდან ხილისა და ციტრუსის შეტანა შეაჩერა. ეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ციტრუსის იმპორტის 37,1 %-ი სწორედ ეგვიპტეზე მოდიოდა.

ქართველი მეწარმეები ფიქრობენ, რომ გადაჭარბებული მოლოდინები არ უნდა შეიქმნას, თუმცა ქართულ ციტრუსს, შესაბამისი ხარისხის შემთხვევაში, რუსეთის ბაზარზე წილის ზრდის დიდი შანსი აქვს.

ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ ქართული ციტრუსი იმდენად მოთხოვნადია, რომ გინდა, არ გინდა გაიყიდება“, — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში TCF Georgia-ს ხელმძღვანელი კახა შავაძე.

მისივე განმარტებით, ეგვიპტური ბაზრის დაკარგვის შემდეგ, ქართულ მანდარინს რუსეთში მოხვედრის უფრო მეტი შანსი ეძლევა, თუმცა ამისათვის „უნდა მოვერგოთ სდანდარტებს. პირველ რიგში მაღალი ხარისხი უნდა შევთავაზოთ, უნდა შევძლოთ ასევე მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა“.

◎ დღესასწაული

მარიამ ღვთისმშობლის შობა დიდუბოზა

21 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს.

ქრისტიანობის ამ უდიდეს დღესასწაულს განსაკუთრებულ საზეიმო წირვა-ლოცვით ხვდებიან დიდუბის, გელათის შუამთის, ბეთანიისა და მახათას მთაზე მდებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის და სამონასტრო კომპლექსი, იტრიის, მეტეხის და სხვ.

ცნობილია, რომ უფალმა შეისმინა მოხუცებული იოაკიმე და ანას ვედრება, წყალობით გადმოხედა მათ ოჯახს... და, გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა მარიამი – მომავალი დედა იესოსი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და დიდუბის ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი, უდიდესი სიწმინდეა, რომლის წინაშეც მრავალ ქართველს მოუყრია მუხლი გულწრფელი ვედრებით და შემწეობაც მიუღია...“

აღსანიშნავია, რომ დიდუბეში თამარ მეფის დროს მდგარა სამეფო სასახლე. ისტორიული წყაროებით თამარ მეფემ სწორედ დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაიწერა ჯვარი დავით სოსლანზე 1189 წელს: „...და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ღვთისა მიერ, და მოვიდნენ სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელობისა მათისა“. დიდუბეში თამარის ქორწინებას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც.

დიდუბობას მრავალი მომლოცველი სტუმრობს ტაძარს როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან, ისინი სასოებით ემთხვევიან სასწაულმოქმედ, მოოქროვილ პერანგიან უდიდეს სიწმინდეს!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ღვთისმშობლის შობას და დიდუბობას!

გიული ლიპარტია

„ბაიცანი საქართველო“ ყაზბეგში

ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პროექტს „გაიცანი საქართველო“ აგრძელებს. შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით წელს რიგით მე-17 ტური მედიის წარმომადგენლებისთვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოეწყო. ჟურნალისტებმა დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის სამება, აბანოს მონასტერი და სოფელი ჯუთა დაათვალიერეს. ზღვის დონიდან 2400 მეტრზე საბანაკე კომპლექსს ზეთას და სასტუმრო „მეხუთე სეზონსაც“ ეწვივნენ, სადაც ასვლა სოფელ ჯუთადან მხოლოდ ცხენებით ან ფეხით არის შესაძლებელი. ზეთაში ფესტივალი „ალპფესტიც“ ჩატარდა.

ჟურანლისტებმა „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილის ლოდებში გამოთლილი ქანდაკებებიც მოინახულეს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით პროექტი, რომელიც შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას და სტიმულირებას ემსახურება, მომავალშიც გაგრძელდება. „გაიცანი საქართველო „2015 წელს დაიწყო და პროექტის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, გურია, რაჭა, სვანეთი, კახეთი, სამცხე ჯავახეთი და ყაზბეგი დაათვალიერეს.

საქართველოში თურქული სახელმწიფო სკოლა გაიხსნა

ბათუმში თურქეთის მოქალაქე ბაშვებისთვის პირველი თურქული სკოლა გაიხსნა.

Anadolu-ს ინფორმაციით, სკოლა Metro Holding-ის თავმჯდომარის გალიფ ოზთურქის მხარდაჭერით აშენდა. როგორც 2016-2017 სასწავლო წლის დაწყების ცერემონიაზე სკოლის დირექტორმა მეჰმეთ ქაბაქჩიმ განაცხადა, სკოლის ოთხსართულიანი შენობა 5200 კვ/მ აშენებული.

მისივე თქმით, სკოლის შენობაში 24 სასწავლო კლასია, სამი ლაბორატორია, სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებელი დარბაზები, სამხატვრო და მუსიკის კლასები, ასევე სპორტული დარბაზები. კაბაქჩიმ აღნიშნა, რომ სკოლის მშენებლობას ფუნდამენტი 11 თვის წინ ჩაეყარა.

თურქული სკოლის დირექტორმა თბილისში თურქეთის საელჩოსა და ბათუმში თურქეთის საკონსულოს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ სკოლის მშენებლობის პროცესში აღმოუჩინეს.

თავის მხრივ, თბილისში თურქეთის საელჩოს განათლების საკითხებში მრჩეველმა ტუფან კარადენიზმა აღნიშნა, რომ სკოლა თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მხარდაჭერით აშენდა და თურქეთის სასწავლო პროგრამის შესაბამისად იმუშავებს.

გარდა ამისა, ბათუმის თურქული სკოლის ტერიტორიაზე ანატოლიის ლიცეუმია განთავსებული. ლიცეუმში 25 პედაგოგი ასწავლის: აქედან დამწყები კლასების 4 მასწვლებელია და 21 პროფილური.

„არტვილა გარიყულაში“

თიბისი ბანკის მხარდაჭერით სოფელ გარიყულაში (კასპის რაიონი) „არტვილა გარიყულაში“ ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი – „ფესტინოვა 16“ გაიხსნა.

„მომავალი მეხსიერება“ – წლევანდელი ფესტივალის თემაა, რომლის ირგვლივ ხელოვანები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გაერთიანდნენ. „ფესტინოვა 16-ზე“ ქართველი და უცხოელი არტისტების მიერ შექმნილი 11 ნამუშევარია წარმოდგენილი, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ფორმატშია შესრულებული. წელს ფესტივალზე პირველი გერმანული კონცეპტუალური პავილიონიც გაიხსნა.

ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი სოფელ გარიყულაში 2009 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანი თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია, ხელოვანებისთვის საერთაშორისო პლატფორმის შექმნა და კულტურული ურთიერთობების გაღვივებაა. „ფესტინოვა 16“ წელს დამთვალიერებელს სამი კვირის განმავლობაში, 8 ოქტომბრამდე ელოდება.

◎ ანეკდოტები

ფეხსაცმლის მაღაზიის ქალთა განყოფილებაში მამაკაცი ეკითხება გამყიდველს:

– ნიანგის ჩექმები თუ გაქვთ?

– კი ბატონო, გვაქვს. რა ზომის ფეხი აქვს თქვენს ნიანგს?

* * *

– **არაფრით** არ გამომდის ფულის ჭკუით დახარჯვა: ხან ჭკუა არ მყოფნის, ხან ფული!

* * *

– **დედიკო**, დედა-ა, სანამ შენს სახლში არ იყავი, მამამ ორჯერ მცემა! – შესჩივლა მშობელს ატირებულმა ვაჟიშვილმა.

– რატომ დედიკო, განა რა დაგაშავე ასეთი?

– რა და პირველად მაშინ მცემა, როცა ორიანებითა და კლასის დამრიგებლის ცუდი ჩანაწერებით გატენილი დღიური რომ ვაჩვენე, მეორედ კი მაშინ, როცა გაიგო, რომ ეს მისი ძველი დღიური ყოფილა-ა...

* * *

– **მიჭირს** თქვენთვის დიაგნოზის დასმა. ჩემი აზრით, ეს ალკოჰოლიზმის ბრალია.

– კარგი, ექიმო, მაშინ სხვა დროს მოვალ, როცა ფხიზელი იქნებით.

* * *

– **ძვირფასო**, ხალიჩას მიყიდი? – ეკითხება ცოლი ქმარს.

– ნამეტანი ფუფუნებაა შენთვის ხალიჩა! ისევ ცოცხზე შემოსკუპულმა იფრინე!..

საჯარო განხილვა

2016 წლის 11 ნოემბერს, 13 საათზე, ქ. სიღნაღში, დ. აღმაშენებლის მოედანი №2-ში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება შპს „გუმბათი“-ს კუთვნილი ასფალტის საწარმოს (სიღნაღი, სოფ. საქობო) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

– სიღნაღი, სოფ. საქობო, შპს „გუმბათი“, ტ. 5 98 246 236.

– ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მოედანი №2, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის გამოცხადებიდან 45 დღე.

– საკონტაქტო პირი. რევაზ ტუხაშვილი, ტ. 5 98 246 236.

შპს „გუმბათის“ ადმინისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3167; ევრო - 2.5866;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0245;
100 რუბლი - 3.5714; თურქული ლირა - 0.7786;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4047;
1000 სომხური დრამი - 4.8917.

ამინდი 21 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +26
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +27
თბილისი:	ღამე +14,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE